საერთო გაზეთი

№38 (496) • 17 ოქტომბერი, 2018წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

ელიზბარ ჯაველიძე: **სამგზის ვიმეორებ:**
ხმას ვაძლევ სალომე ზურაბიშვილს!
ხმას ვაძლევ სალომე ზურაბიშვილს!
ხმას ვაძლევ სალომე ზურაბიშვილს!
მოვიდნენ ახლა და დამიმახსოვრონ!

შეტევა ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ

მკვლელების მიერ „გაპროტესტებული“ მკვლელობა და დაუსჯელი დამნაშავეების მიერ „აღდგენილი“ სამართალი

ომი დაიწყეს შაშამ, კოლამ და რუსეთმა!

ტუტუცი

ტუტუცი ცუდი სიტყვა არ გეგონოთ – ტუტუცი მეფის კარზე მუშაობდა და მისი მოვალეობა მეფისთვის ყვ...-ბის ფხანა იყო...

ტუტუც გვარამიას არ დაუზუსტებია, რითი სჯობს ხაინდრავას ყვ..-ებს, ვთქვათ და, ვაშაძის ყვ..-ები?
რუსეთში რომ არის ნაწრთობ-ნავარჯიშევი და რუსული პოლიტიკის გრდემლზე რომ არის გამოკვერილი, იმით?

ცავატანემ, ზაზაჯან, შენ სინდისი ვაბშემ ჩუნეს?

ფრანკფურტის პარადოქსები

ტუტუცი

ტუტუცი ცუდი სიტყვა არ გეგონოთ — ტუტუცი მეფის კარზე მუშაობდა და მისი მოვალეობა მეფისთვის ყვ...-ბის ფხანა იყო

ვახტანგ ხარჩილავა

უნიათო და ხელმოცარული ფაშისტი ნიკა გვარამია, თავის „ცრუსთავი-2“-ში თითქმის ყოველ ღამე ჰფენს ახალ-ახალ ფარულ აუდიოჩანაწერებს და ხელს „ქართული ოცნებისკენ“ იშვერს — აი, ეს არის „ქართული ოცნების“ ხელისუფლების სახე, ქვეყანას მკვლელები და ბანდიტები მართავენ. ეს ხელისუფლება უნდა დავამხოთ, ეს ხელისუფლება უნდა გავაგდოთო, — ჭყლოპინებს და სტუმრად მოწვეულ თავის კუდებს იგივეს აყვირებს.

ნიკა გვარამია, შე მართლა „გაუპატიურებულო ოფოფო“, შენ გგონია, ქართველ ხალხს დაავიწყდა, ვინ ხარ შენ და საიდან მოდიხარ?!

„ნაცმოძრაობამ“, რომელმაც ფარულო ვიდეოჩანაწერების მთელი კინოინდუსტრია შექმნა, საქართველოს 26 ათასი უმძიმესი კადრების ამსახველი ფაილი დაუტოვა მემკვიდრეობად.

26 ათასი ფაილი — ეს არის ის, რაც ვიცით, თორემ, რაც არ ვიცით, ალბათ, ორი იმდენია.

„ნაცმოძრაობა“ შეეცადა არა მარტო ფიზიკურად, არამედ სულიერად, მორალურად, ზნეობრივად გაეტეხა და გაეთახსირებინა ქვეყანა და მან ეს ნაწილობრივ შეძლო კიდევაც.

ნაციონალები არა მხოლოდ თავიანთ ოპონენტებსა და კონკურენტებზე, არამედ კომპრომატებს აგროვებდნენ ერთმანეთზე და იმასაც კი კადრულობდნენ, თავისი თანაპარტიელის საწოლ ოთახშიც კი ჩასაფრებულიყვნენ და დოკუმენტურად აესახათ, თუ როგორ, რა პოზაში ამყარებდა სექსუალურ კავშირს მათი თანამებრძოლი ცოლთან, მერე ამ კადრებს კოლექტიურად უყურებდნენ და ხალისობდნენ.

სრული მორალური კატასტროფა და დეგრადაცია — აი, მთავარი მახასიათებელი „ნაცმოძრაობის“ სადომაზოხისტურ-კრიმინალურ-ფაშისტური რეჟიმისა, რომლის შემოქმედები ახლა ხელისუფლებაში აპირებენ მობრუნებას.

„ქართული ოცნების“ საბედისწერო შეცდომა, ეს არის კოაბიტაცია „ნაცმოძრაობასთან“, ყოფილი ნაციონალების „ქართული ოცნების“ რიგებში გადმოპორტირება, ზოგი ნაციონალისთვის საკვანძო პოსტების ჩაბარება, რამაც „ქართულ ოცნებას“ საკუთარი ერთგული მხარდამჭერების მნიშვნელოვანი ნაწილი დააკარგვინა.

გვარამიას არ დაუზუსტებია, რითი სჯობს ხაინდრავას ყვ..-ებს, ვთქვათ და, ვაშაძის ყვ..-ები? რუსეთში რომ არის ნაწრთობ-ნავარჯიშევი და რუსული პოლიტიკის გრდემლზე რომ არის გამოკვერილი, იმით?

არ გვჯერათ, მაგრამ უნდა დაიჯეროთ — როგორც არ არსებობს ყოფილი კაგებეშნიკი, ასევე არ არსებობს ყოფილი ნაციონალი.

ისინი „ქართულ ოცნებას“ ვერასოდეს მოემსახურებიან გულწრფელი ერთგულებით, რადგან მათი უმრავლესობა კომპრომატების გრძელი ჯაჭვით არის მიბმული თავიანთ პატრონებთან.

●

სუბელიანის „აღსარების“ ჩანაწერი, რომელშიც, როგორც ირკვევა, უამრავი დეტალია ჩამატებული, ნაცებმა ხელზე დაიხვიეს და ახლა ამ ჩანაწერის საშუალებით აპირებენ მოსახლეობის ჭკუიდან გადაყვანას — ნახეთ, ნახეთ, მარტო ფარცხალაძეს კი არა, სუბელიანსაც ჰყოლია თავისი 50-კაციანი შეიარაღებული ბანდა. „მხედრიონი“ დაბრუნდა! ადრე თუ ერთი ჯაბა იოსელიანი იყო, ახლა უამრავი იოსელიანია და თავიანთი ბანდფორმირებებით ისინი მართავენ ქვეყანასო.

არადა, ეს უბედური სუბელიანი, სასოწარკვეთამდე მისული და ღრმა დეპრესიაში ჩავარდნილი კაცი, ამ საუბარში ცდილობს, ზედმეტად გააზვიადოს და გააბუქოს საკუთარი პერსონა, აღმატებულ ხარისხში წარმოაჩინოს მისი დამსახურებები სახელმწიფოს წინაშე, რომ ამით შთაბეჭდილება მოახდინოს ხელისუფლებაზე და როგორმე მოიპოვოს თავისუფლება.

მისი საუბარი, მაპატიეთ და, მთლად ნორმალური კაცის საუბარს არ ჰგავს — ის თითქოს თავისთვის ლაპარაკობს და თითქოს თავის თავს არწმუნებს, რომ მას, ასეთი დამსახურების ადამიანს, არ გასწირავენ.

სუბელიანი კი ამბობს (თუ მართლა თვითონ ამბობს) ისეთი შეიარაღებული თანამშრომლები მყავს, მაგათი შიშით ახლოს ვინ მოგვეკარებოდაო, თუმცა თანამშრომლები გვარამიამ და მისმა „სასტავმა“ ბანდად გადმოთარგმნა.

არადა, ბანდა და ბოევიკები სუბელიანს არსად უხსენებია, თანამშრომლებიო, თქვა.

„რუსთავი-2“-ში დაბანაკებული „ნაცმოძრაობის“ პიარგენშტაბი „გაუპატიურებული ოფოფის“ სარდლობით, ოქუაშვილის თუ სუბელიანის აუდიოჩანაწერებს ყურს იქით აბამს, საითაც სურს და ისეთ ინტერპრეტაციას უკეთებს, თითქოს ქვეყანაში უკვე არ არსებობს ხელისუფლება და სახელმწიფოს ბანდფორმირებები მართავენ, ასეთი დასკვნის გაკეთება კი იმისთვის სჭირდებათ, რომ ბოლოს თქვან: ხმა არ მისცეთ სალომე ზურაბიშვილს, თორემ ქვეყანა დაიღუპებაო.

ნიკა გვარამიამ უფრო მხატვრულ-მეტაფორული ფორმა აირჩია და მოსახლეობას ასე მიმართა: თუ გინდათ, ხაინდრავას ყვ.....ბში ჩარჩეთ, მოღალატე ზურაბიშვილს მიეცით ხმაო.

გვარამიას არ დაუზუსტებია, რითი სჯობს ხაინდრავას ყვ..-ებს, ვთქვათ და, ვაშაძის ყვ..-ები?

რუსეთში რომ არის ნაწრთობ-ნავარჯიშევი და რუსული პოლიტიკის გრდემლზე რომ არის გამოკვერილი, იმით?

ნიკა გვარამია, მეტსახელად „გაუპატიურებული ოფოფი“, ტუტუცია და ამიტომაც აფათურებს ხელებს ვიღაც-ვიღაცების ყვ..-ბში.

ტუტუცი ცუდი სიტყვა არ გეგონოთ — ტუტუცი მეფის კარზე მუშაობდა და მისი მოვალეობა მეფისთვის ყვ..-ბის ფხანა იყო.

გვარამია ნაციონალების კარზე მსახურობს ტუტუცის თანამდებობაზე და ხან სააკაშვილის, ხან — ვაშაძის ყვ..-ბის ფხანა მის სამსახურებრივ მოვალეობაში შედის.

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავლის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

სამგზის ვიმეორებ:

ხმას ვაძლევ სალომე ზურაბიშვილს! ხმას ვაძლევ სალომე ზურაბიშვილს! ხმას ვაძლევ სალომე ზურაბიშვილს! მოვიდნენ ახლა და კარგად დამიმახსოვრონ!

გვესაუბრება აკადემიკოსი, მწერალი ელიზბარ ჯაველიძე:

— ბატონო ელიზბარ, საპრეზიდენტო არჩევნებამდე ორი კვირა რჩება, ოპოზიცია ხელისუფლების კანდიდატის მიმართ დისკრედიტაციის მცდელობას და ცილისმწამებლურ განცხადებებს არ იშურებს. თქვენ, როგორ შეაფასებთ წინასაარჩევნო პოლიტიკურ მარათონს?

— ზოგადად, როცა საპრეზიდენტო კანდიდატების სიას გადავხედე და გავიფიქრე: დაიღუპა საქართველო-მეთქი. რიგ კანდიდატებს მართლაც შეიძლება ჰქონდეთ ამ პოსტზე პრეტენზია, მაგრამ დიდ ნაწილს წარმოდგენა არ აქვს რას ნიშნავს პრეზიდენტობა. დღევანდელი გადმოსახედიდან, პრეზიდენტი ვერ განსაზღვრავს ქვეყნის პოლიტიკას, ეკონომიკურ მდგომარეობას, მას არ ძალუძს არც პენსიის და არც სხვა სოციალური დანამატის მომატება. ამ დროს კი, ეს მართლაც კაგებეს აგენტი, ვაშაძე აცხადებს: პენსია 400 ლარი უნდა გახდესო და ასე რომ არ არის, ამაში ბიძინა ივანიშვილს ადანაშაულებს. რა შუაშია, ხალხნო, ივანიშვილი. ბატონმა ბიძინამ რაც საქართველოსთვის გააკეთა, ვაშაძის გვარი და ჯილაგი ამას ვერასოდეს შეძლებს. თავიდან, პირადად, ზურაბიშვილის მომხრე არ გახლდით, მაგრამ ამ ნაძირლების — „ნაციონალების“ და მისი დანაყოფების გამოსვლებს და ქილიკს რომ ვუყურებ, მიჩნდება განცდა, ხმა სწორედ, სალომე ზურაბიშვილს მივცე. ეს პირსისხლიანები რას აღარ კადრულობენ, თურმე, ქალბატონ სალომეს დიდი შეცდომა აღმოუჩინეს: ეს, რა თქვა, ომი საქართველომ დაიწყოო. გამაგებინეთ, რა ხდება, ჩვენ, საქართველოში არ ვცხოვრობთ? ამ რეგვენებს მართლა ჰგონიათ, რომ ქართველმა ერმა მახსოვრობა, ხედვა დაკარგა? აბა, ვინ დაიწყო ომი? დროშებით და გამარჯვების ზეიმით რომ შედიოდა საკაშვილი ოსეთში, ეს, მე და თქვენ ვიყავით?! „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატმა ერთი მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა: „დედა ენაში“ იაკობ გოგებაშვილი უნდა დავაბრუნოთო. ატყდა მეორედ მოსვლა, ეს რა თქვაო. განა, ეს ტყუილია? ეს სამართლიანი აზრი, ჭეშმარიტებაა. მთავარი რამაც ნერვები მომიშალა შემდეგი გახლავთ: ეს ბაღლინჯო, საკაშვილის ტკიპა ნიკა გვარამია რომ გამობრძანდა და განაცხადა: ვინც ზურაბიშვილს მისცემს ხმას დავიმახსოვრებ და სამაგიეროს გადავუხდიო. ამ გათახსირებულების, სისხლისმსმელების გასაგონად საჯაროდ ვაცხადებ: ხმას ვაძლევ სალომე ზურაბიშვილს. აბა, მოვიდეს ეს ნაძირალა გვარამია და კარგად დამაკვირდეს სახეზე, დამიმახსოვროს თუ ბიჭია. ახალგაზრდა ყმაწვილმა ირაკლი კობახიძემ გვარამიას, ასეთი ქმედების გამო, ფაშისტი უწოდა. ამაზეც ერთი ვაიუშველებელი ატეხეს, ეს მთელი ქართული პოლიტიკის შეურაცხყოფაა. ამ „ნაციონალებს“ და მის განშტოებებს რომ გადახედავ ბოკერიადან დაწყებული ყველანი ფაშისტებზე უარესები არიან. არცერთ ფაშისტს არ გაუკეთებია ის, რაც საკაშვილის სისტემამ გააკეთა — მამისა და მეუღლის წინაშე ადამიანი გააუპატიურეს. ასეთი რამ ფაშისტს კი არა, არცერთ ველურ ტომს არ გაუკეთებია. ეს და დანარჩენი ფაილები რაც სამეგრელოში აღმოაჩინეს, კი არ უნდა განადგურებულიყო, არამედ საზოგადოებისთვის საჯაროდ ეჩვენებინათ, რათა ყველას დაენახა ამ პირსისხლიანი ფაშისტების ნამდვილი სახე. ახლა, მერაბიშვილზე ერთი ამბავია ატეხილი, თურმე, გული აწუხებს. ხალხს რომ ხოცავდა და ორ გვამს ითხოვდა, მაშინ არ აწუხებდა გული?!

— ბატონო ელიზბარ, მოდით სათითაოდ განვიხილოთ „ნაციონალების“ და მათი დანაყოფების „საამაყო“ კანდიდატები?

— კი ბატონო, განვიხილოთ. რას წარმოადგენდა ვაშაძე, ან რა მინისტრი იყო, საერთოდ, რა გაუკეთებია? ერთადერთი დადებითი ის არის, რომ ლამაზი, მოცეკვავე გოგონა ნინო ანანიაშვილი მოიყვანა ცოლად, მამამისი თანამდებობის კაცი იყო და გაურიგეს. მეტი რა გააკეთა? — მეტი ის გააკეთა, რომ იყო კაგებეს აგენტი და ამის დამადასტურებელი საბუთი დღესაც ჯიბეში უდევს. შეიძლება ეს ვერ დაუმტკიცო, მაგრამ წაკითხული მაქვს „კომერსანტისთვის“ მიცემული მისი ინტერვიუ, სადაც ამბობს: მართალია, მე, დავკარგე რუსეთის პასპორტი, მაგრამ რუსეთის სიყვარულს ვერავინ დამაკარგინებსო. ამ დროს, სხვებს აბრალებს პრო-რუსობას და თვითონ, პრო-დასავლელად მოაქვს თავი, სირცხვილი არ არის. შეიძლება სხვა ადამიანს ჰქონდეს ეს განცდა, მაგრამ ვაშაძე რომ ხარ, მოდიხარ, რუსეთს ლანძღავ და ამერიკას აქებ, აი მაშინ ხარ თახსირი. ვინ არის ბაქრაძე, მახსოვრობა სულ წაგვეშალა? ბაქრაძე პარლამენტის თავმჯდომარე არ იყო, როცა ბრძანა: მცხეთასთან ორი-სამი ჯაგლაგი ტანკი გამოჩნდა, ქართველებო, ხელში დანა-ჩანგალი ავიღოთ და ქვეყანა დავიცვათო. ამ დროს, თვითონ, მისი ოჯახი და მთელი პოლიტიკური ელიტა საზღვარზე იყვნენ გასაქცევად გამზადებულნი. ახლა, ვაშაძე და ბაქრაძე მეუბნებიან: ჩვენ, მოვდივართ იმიტომ, რომ საქართველო გადავარჩინოთო. სირცხვილია. ახლა, ყოველდღე ბოკერია მამაძაღლი პარლამენტის ტრიბუნიდან გვმოძღვრავს. ამას სჯობს, თავის ცხრა ღობეზე გადამხტარ ცოლს უკითხოს ლექციები. რა უფლება აქვთ რომ გამოდიან და კიდევ სხვას დებენ ბრალს მოღალატეობაში.

— ბატონო ელიზბარ, ტელევიზიებიც ხელს უწყობენ სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ მიმართულ პროპაგანდას?

— დიახ, ასეა. ქართველი ხალხი აჭრილია იმიტომ, რომ ის ტელევიზიები რაც დღეს ქართულ სივრცეში არსებობს, ყველა გაყიდული, მოღალატეა. აღარაფერს ვამბობ „რუსთავი-2“-ზე. „რუსთავი-2“-მა რაც საქართველოსადმი სიბინძურე, გათახსირებულობა, სიძულვილი დათესა, ასეთი რამ არცერთ პოლიტიკურ მოძრაობას არ გაუკეთებია. აიღეთ, ნებისმიერი ტელევიზია — „კავკასია“, „ტვ პირველი“, ყველანი ფულზე არიან გაყიდულნი ისევე როგორც არასამთავრობო ორგანიზაციები. თურმე, 13 ყველაზე გამორჩეული არასამთავრობო გვყოლია. სწორედ ის 13 ყველაზე გამოჩენილი არასამთავრობო ორგანიზაცია არის ფულზე გაყიდული აგენტი. სწორედ ისინი მტრობენ ქვეყანას. არცერთ არასამთავრობოს ერთხელ არ უთქვამს, რომ ქართველი კაცი იჩაგრება და მისი უფლებები ილახება. მთელი უბედურება ის არის რომ ჩვენ, თავისუფლება კი არა, დამოუკიდებლობა დავკარგეთ. ჩვენ, სულიერად განადგურებული, ღირსებადაკარგული ხალხი ვართ, თორემ ამათ ვალაპარაკებდით?! ამიტომაც, არ უნდა დავუშვათ ქვეყნის პრეზიდენტად ამ ავადმყოფების მოსვლა.

— წელან, ჯაფარიძე ახსენეთ, თავისუფალ სკოლას ხსნისო. ამის რა მოგახსენოთ, მაგრამ მალე კანაფის ფესტივალის მოწყობას აპირებს, თანაც, კანაფიც იქვე უნდა გაყიდოს.

— ვინც ამას ხელს უწყობს, ის არის საქართველოს პირველი მტერი. ეს არის უკანასკნელი დარტყმა, რომელიც ეროვნებას და ქართველს სპობს.

— ვაშაძემ განაცხადა: გაპრეზიდენტების შემთხვევაში საკაშვილს, მერაბიშვილს, ახალაიას შევიწყალებო.

— ამიტომაც უნდა პრეზიდენტობა, რომ საკაშვილი შეიწყალოს და აქ, ჩამოიყვანოს. მიშა აქ ჩამომსვლელი მაინც არ არის. თუ ჩამოვა აქვე მიიღებს საბოლოოდ განაჩენს. „ნაციონალებს“, „ევროპულ საქართველოს“ თუ „გირჩს“ არ უნდა ჰქონდეთ ამდენი უფლებები, ეს არ არის დემოკრატია. ესენი უნდა გასამართლებულიყვნენ, ახლა, ციხეში უნდა მჯდარიყვნენ და არა პარლამენტში. აი, ეს იქნება დემოკრატია. დემოკრატია არის უმაღლესი სამართლიანობა, მართალი სამართლის დამტკიცება.

— როგორ ფიქრობთ, ზურაბიშვილი დაასრულებს კოაბიტაციას?

— თუ ზურაბიშვილი ამას გააკეთებს, მისი პირველი ჯარისკაცი მე ვიქნები. თუ ამას ვერ მოახერხებს, ვიმეორებ, ამას ქართველი ხალხი გააკეთებს, რევოლუცია მოხდება. იცით, რევოლუცია რას ნიშნავს? — რომ იქ, კუდები აღარ დარჩება, ყველა ძირიან-ფესვიანად ამოიძირკვება.

— წინა საარჩევნოდ როგორც ხდება ხოლმე, ფარული ჩანაწერების გავრცელება დაიწყეს. ამაზე რას ფიქრობთ?

— ეს ყველაფერი არის ერთი ბინძური ძალის დაკვეთა. ესენი ნეხვში მოფუსფუსე ჭიები არიან, აღარ იციან რა ქნან და ახლა, ამ ჭუჭყის აქეთ-იქით ფურთხება დაიწყეს. გამოვფხიზლდეთ და სწორი არჩევანი გავაკეთოთ, სანამ ქვეყანა თავზე არ დაგვქცევია.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ომი დაიწყეს შაშამ, კოლამ და რუსეთმა!

რაც უფრო ახლოვდება საპრეზიდენტო არჩევნების დღე, მით უფრო განიცდის, ნერვიულობს და შუაზე იპრიწება "ნაციონალური ხუხულა". რაც გინდათ, ის თქვით, ამ ხუხულაში გაერთიანებულ ავანტიურისტებს შეუძლიათ, თავიანთ დარდაკულ ჭკუაზე ატარონ ტელევიზიების, გაზეთებისა და ინტერნეტ გამოცემების უმეტესობა. აღარაფერს ვამბობ საეჭვო წარმომავლობის არასამთავრობოებზე, სადაც კი ერთი დეფექტიანი და მუქთახორაა, ყველა ამ სფეროშია თავმოყრილი. ბუნებრივია, ამ საქმეში დიდი ფული იდება, თორემ სამართლიანობა და მამულის სატკივარი დეფექტიანებს ფეხებზეც არა ჰკიდიათ.

აი, გახურდა წინასაარჩევნო პერიოდი და ამათაც ნახეს საკბილო, ანუ დასვეს სამარადჟამო შეკითხვა: ვინ დაიწყო 2008 წლის აგვისტოში ომი, საქართველომ თუ რუსეთმა? ამ შემთხვევაში "ნაცხუხულელები" იწყებენ და ტელევიზიები ბანს აძლევენ, შემდეგ კი ერთად უნიჭოდ ადიან უნისონში, რაც ბოლოს გადადის ისტერიულ ბღავილში. ვინ დაიწყო ომი? რასაკვირველია, რუსეთმა! — არის პასუხი მეორე, მოწინააღმდეგე მხრიდან, ხელისუფლებიდან, "ქართული ოცნების" წარმომადგენლებიდან, მაგრამ ეს არ ითვლება, ეს სრული სიცრუეა, "მიშმაკებს" აქვთ დავალება, რომ არ უნდა დაიჯერონ. კი, "ოცნების" მომხრეები ამბობენ, ომი რუსეთმა დაიწყოო, მაგრამ სინამდვილეში ისინი პუტინის მონები არიან, უბრალოდ თვალთმაქცობენ. სატელევიზიო გადაცემების, სიუჟეტებისა და ახალი ამბების შინაარსი კი ასეთია:

წამყვანი — ბატონო იმანო, თქვენც ფიქრობთ, რომ 2008-ში ომი საქართველომ დაიწყო?

- არა, როგორ გეკადრებათ!

წამყვანი — აჰ, ესე იგი, საქართველომ დაიწყო, ხომ?

- არა-მეთქი, არა, რუსეთმა დაიწყო, უბრალოდ მაშინდელი ხელისუფლება პროვოკაციაზე წამოეგო!

წამყვანი — გამოდის, საქართველომ დაიწყო და არა რუსეთმა.

- არა, ომი რუსეთმა დაიწყო, თანაც ბევრჯერ!

წამყვანი — რას ჰქვია, ბევრჯერ, თვალებზე გეტყობათ, რომ ბევრჯერ დამწყებში საქართველოს გულისხმობთ.

- არა, შვილო, არ ვგულისხმობ!

წამყვანი — ბატონო ამანო, თქვენც ასე ფიქრობთ, რომ ომი საქართველომ დაიწყო?

- არა, მე ვფიქრობ...

წამყვანი — აჰ, გასაგებია, ესე იგი, საქართველომ დაიწყო.

- არა!

წამყვანი — აბა, სალომე ზურაბიშვილმა რომ თქვა, საქართველომ დაბომბაო?

- არ უთქვამს ასე!

წამყვანი — როგორ არა, თქვა, ვიდეო ვნახე.

- მან თქვა, ომი რუსეთმა დაიწყო და საქართველო ამ ომში ჩაითრიესო!

წამყვანი — თუ ჩაითრიეს, გამოდის, საქართველომ დაიწყო.

- არა, დაწყება სხვა რამეა, ჩათრევა კიდევ სხვა რამე!

წამყვანი — როგორაა სხვა რამე?

- აეგრე, სხვა რამეა!

წამყვანი — არ არის სხვა რამე, ქალმა თქვა, რომ ჩვენ დავბომბეთ.

— თქვენ არ გესმით, რას გეუბნებით?!

წამყვანი — კი, მესმის, თქვენ აცხადებთ, რომ საქართველომ მძინარე ცხინვალი დაბომბა.

- არა, ქალოვ და კაცოვ, არა-მეთქიიიი!!!

- აჰ, კარგი, იყავით ამ აზრზე, მე სხვანაირად ვფიქრობ... თუ გნებავთ, აგერ, დავით ნებიერიძეს ვკითხოთ, ფრიად განათლებულ ადამიანს, რომელსაც ინტელექტი კოსტუმის ჯიბიდან მოუჩანს წითელი "პლატოკის" სახით.

- დიახ, ეს მოღალატეები!

წამყვანი — თქვენ ფიქრობთ, რომ სალომე ზურაბიშვილი მოღალატეა?

- ვფიქრობ კი არა, ასეა!

წამყვანი — რატომ?

- იმიტომ, რომ თქვა, ომი საქართველომ დაიწყოო!

წამყვანი — აჰ, სწორედაც რომ ასე თქვა და ნეტავ რატომ?

- ეგ გიკვირთ?

წამყვანი — არ მიკვირს, უბრალოდ შეკითხვას ვსვამ, რომელიც საზოგადოებაში არსებობს.

- ჰო... ეს მოღალატეები!!!

წამყვანი — აი, ხედავთ, ბატონებო, იმანოვ და ამანოვ?

- ჰმ... რას ვხედავთ, ეს ვინ ჩემი ფეხებია?!

წამყვანი — თქვენ ამბობთ, რომ ომი საქართველომ დაიწყო.

- არ ვამბობთ!

წამყვანი — ამბობთ, როგორ არა.

- არაააააა!!!

წამყვანი — კარგი, თქვენი პასუხი აღარ მაინტერესებს, რეკლამაზე უნდა გავიდეთ.

- მოიცააა... იცი, რას გეტყვით?

წამყვანი — რას, ესე იგი, მიდასტურებთ, რომ ცხინვალი ჩვენ დავბომბეთ, ხომ?

- არააააა!

წამყვანი — კარგი, თქვით, გაძლევთ საშუალებას, მე დემოკრატი წამყვანი გახლავართ.

- იცით, რას გეტყვით?!

წამყვანი — გამოდის, ომი საქართველომ დაიწყო, ძალიან სამწუხაროა. რეკლამაზე გავდივართ, მეგობრებო!

●

ამ თემაზე სასაუბროდ ტელესტუდიებში "ნაცხუხულიდან" მიჰყავთ ისინი, რომლებსაც ყველაზე მეტად აქვთ შუბლის ძარღვი გაწყვეტილი და კუჭი აშლილი, ვისაც ყველაზე მეტად შეუძლია ბღავილი, ვისაც ყველაზე მეტი წითელი წიწაკა აქვს ნაჭამი და ვისაც ყველაზე მეტად შეუძლია შეურაცხყოფის მიყენება ნებისმიერი ადამიანისთვის. მათი ტერმინოლოგია ერთნაირია: "პუტინის მონები", "კაგებეს აგენტები" (საცოდავებმა არც კი იციან, რომ კაგებე აღარ არსებობს), "რუსეთუმეები", "მოღალატეები" და ასე შემდეგ. კაცმა რომ თქვას, ჩამოთვლილი ყველა "წოდება" ყველაზე მეტად მათ კანდიდატს, ამხანაგ გრიქულ... უკაცრავად, გრიგოლ ვაშაძეს უფრო მიესადაგება, მაგრამ ამათი სტრატეგია ბოზი ქალების ტაქტიკიდანაა მოპარული, სხვას რომ ბოზებს ეძახიან ხოლმე. სატელევიზიო სივრცეში დიდი ფულის სანაცვლოდ განგებ შემოჰყავთ არაფრის მაქნისი, უავტორიტეტო და უსახელო ადამიანები, მაგრამ ყველაფერზე ხელის მომწერები — მაგალითად, უცენზო მაია ორჯონიკიძე, ალფონსი დავით ნებიერიძე (რომელიც დღემდე ქალის ხარჯზე ცხოვრობს და ამ ქვეყნისთვის ერთი კენჭიც კი არ გადაუბრუნებია), გიჟმაჟი მეგი გოცირიძე, გაურკვეველი წარმომავლობის ბადრი შუბლაძე (რომელსაც პირდაპირ ეთერში დედას აგინებენ და მაინც იკრიჭება). არ ვიცი, რომელი ერთი ჩამოვთვალო? სტუდიებში ისეთები ბღავიან მორალსა და პატიოსნებაზე, არც ერთი რომ არ გააჩნიათ და არც მეორე. სხვათა შორის, ბოლო დღეებში ძალიან გააქტიურდა გიგა ბოკერიას არნახულად ტემპერამენტიანი კნეინა თამარა ჩერგოლეიშვილი — ის მზად არის, პირდაპირ ეთერში ფეხებიც კი შემოიწყოს მხრებზე და თვალები ამოწიწკნოს მოწინააღმდეგეს. ამისი საუკეთესო მაგალითი გახლდათ მისი სტუმრობა "პირველ არხზე", მაკა ცინცაძესთან, სადაც საათნახევრის განმავლობაში ოთხი რესპონდენტიდან ხმა არც ერთს არ ამოაღებინა. ცოცხზე გადამჯდარი დედაბერი ხომ გინახავთ მულტფილმებში? სწორედ ასე "დანავარდობს" და არავის აძლევს საშუალებას, საკუთარი აზრი გამოთქვას. ქალბატონმა "ჩერგო" პირდაპირ პირში ჩაუძვრა გოგა ხაინდრავას, რომელიც იჯდა და იცინოდა, სხვა გზა აღარ დარჩენოდა. მეორე დღეს იგივე "ჩერგო" "ტვ პირველის" სტუდიაში "გაიჩითა" და იგივე გაიმეორა — ისევ გადაჯდა ცოცხზე. მართალია, ის "ნაცხუხულელებზე" იძახის, გოიმები არიან, ყველანი თავიანთ ბელადს დაემსგავსნენო, ჩვენ ახლა ევროპიელები გახლავართო, მაგრამ ვისაც ეგ გჯერათ, გაგატარებთ, არ არი პრობლემა.



●

ჩვენ აფხაზეთი დავკარგეთ 1993 წელს, 25 წლის წინ. ამას მოჰყვა სამაჩაბლოს დაკარგვა. 2008 წელს, 10 წლის წინ დავკარგეთ კოდორის ხეობა, რომელსაც (რატომღაც) ზემო აფხაზეთი უწოდა მიხეილ სააკაშვილმა. ამავე წელს დავკარგეთ ახალგორის რაიონი – სულ 135 სოფელი, რომელსაც სააკაშვილმა ქვების გროვა უწოდა. დიახ, ქვების გროვა დავკარგეთ, მეტი არაფერიო. მთელი 25 წელიწადი გავიდა, ჩვენ კი დღესაც იმაზე ვებედობთ, ვინ დაიწყო ომი და... ერთმანეთს მოღალეტეებს ვეძახით. ისაო, ჩვენ ისეთი გარემო უნდა შევქმნათ დანარჩენ საქართველოში, რომ აფხაზებსა და ოსებს თავადვე მოუნდეთ შემოერთებაო. ტყუილი! აქეთ ისეთი ომი გვაქვს გაჩაღებული, ვის და რატომ უნდა მოუნდეს, შემოერთება?!

და მაინც... ვინ დაიწყო ომი? 1801 წლიდან მოყოლებული, საქართველოს წინააღმდეგ ყველა ომი დაიწყო და დაამთავრა რუსეთმა. ჩვენ არ გვქონდა, არ გვაქვს და ალბათ კაი ხანს არც გვექნება ომის დაწყებისა და დამთავრების ტრაკი. ჩვენ რომ მაგდენი შეგვეძლოს, თავზე დავიმხობდით სამყაროს და მესამე ან უკვე მეოთხე მსოფლიო ომი გვექნებოდა გაჩაღებული. საუკეთესო შემთხვევაში, ჩვენი ხელგარჯილობით, კაცობრიობა ისევ ირბენდა წვეტიანი ჯოხებით. უარეს შემთხვევაში – დედამიწა იტრიალებდა უკუღმა!

●

რა მოხდა აფხაზეთში? მოხდა ის, რასაც დიდი ხნის განმავლობაში ველოდით. აფხაზებს, ანუ ე.წ. აფსუებს არასოდეს ვეპიტნავებოდით რუსული პროპაგანდა მთელი ძალით მუშაობდა ჯერ კიდევ სოციალიზმის პერიოდში – ჩვენ მათთვის ყოველთვის ვიყავით მტრები. 1981–1983 წლებში ვმსახურობდი ვლადივოსტოკში, წყნარი ოკეანის ფლოტში, სადაც ასევე მსახურობდა რამოდენიმე აფხაზი. ისინი არ მეგობრობდნენ ქართველებთან, აშკარად ეტყობოდათ ზიზღი. რუსი ოფიცრები ცდილობდნენ, მკვეთრად განეცალკევებინათ ჩვენგან არა მხოლოდ აფხაზები, მეგრელებიც. მათ შთააგონებდნენ, რომ იყვნენ "მენგრელები". თუ ქართველები რამეს დავაშავებდით, არ სჯიდნენ, თქვენ ქართველები არ ხართო. როდესაც საქმე ეხებოდა ე.წ. ჰაუპტვახტს, ანუ დროებით პატიმრობას, შიშის გამო ბევრი ამას ჭამდა და აღიარებდა, რომ მართლაც არ იყო ქართველი. ალბათ, ბევრს გახსოვთ, როგორ ვითარდებოდა მოვლენები 1993 წლამდე, აფხაზებს არ სიამოვნებდათ ქართულ ენაზე საუბარი, ეს კუთხე მთლიანად გადასული იყო რუსულ ენაზე. ხშირად მხვდებოდნენ ადამიანები ქართული გვარებით, რომლებმაც არ იცოდნენ მშობლიური ენა. მახსოვს, ერთხელ გაგრაში, ქუჩაში მომავალ ბიჭებს ასანთი ვთხოვეთ. იუკადრისეს, ასანთი კი არა, "სპიჩკა" უნდა გეთქვათო. ლამის დაგვჩეხეს. რომ არა ნაცნობები, ვერ გადავრჩებოდით. საბჭოთა წყობილება, ასე თუ ისე, მაინც ლაგმავდა სეპარატიზმს, მაგრამ ზიზღი ქართველების მიმართ მაინც არსებობდა. როგორც კი დამოუკიდებლობის სიომ დაუბერა, როგორც კი საბჭოთა კავშირმა ნგრევა დაიწყო, ამ ზიზღმა ეგრევე გადმოხეთქა და დიდ ბოროტებად იქცა. თუმცა უნდა ვაღიაროთ, ამაში ჩვენც მიგვიძღვის წვლილი, 1993-შიც წამოვეგეთ პროვოკაციაზე. არ მითხრათ, არაო. აბა, რა უნდოდა ტლუ თენგის კიტოვანს სოხუმში, რომელი ყარამან ყანთელი ეგ გვყავდა? იმჟამინდელმა პრემიერ-მინისტრმა თენგიზ სიგუამ ჩემთან საუბარში არაერთხელ აღნიშნა, რომ ის წინააღმდეგი იყო ჯარის შეყვანისა, კიტოვანი არ უნდა შესულიყო

ბოდა გაჩაღებული. საუკეთესო შემთხვევაში, ჩვენი ხელგარჯილობით, კაცობრიობა ისევ ირბენდა წვეტიანი ჯოხებით. უარეს შემთხვევაში – დედამიწა იტრიალებდა უკუღმა!

●

რა მოხდა აფხაზეთში? მოხდა ის, რასაც დიდი ხნის განმავლობაში ველოდით. აფხაზებს, ანუ ე.წ. აფსუებს არასოდეს ვეპიტნავებოდით რუსული პროპაგანდა მთელი ძალით მუშაობდა ჯერ კიდევ სოციალიზმის პერიოდში – ჩვენ მათთვის ყოველთვის ვიყავით მტრები. 1981–1983 წლებში ვმსახურობდი ვლადივოსტოკში, წყნარი ოკეანის ფლოტში, სადაც ასევე მსახურობდა რამოდენიმე აფხაზი. ისინი არ მეგობრობდნენ ქართველებთან, აშკარად ეტყობოდათ ზიზღი. რუსი ოფიცრები ცდილობდნენ, მკვეთრად განეცალკევებინათ ჩვენგან არა მხოლოდ აფხაზები, მეგრელებიც. მათ შთააგონებდნენ, რომ იყვნენ "მენგრელები". თუ ქართველები რამეს დავაშავებდით, არ სჯიდნენ, თქვენ ქართველები არ ხართო. როდესაც საქმე ეხებოდა ე.წ. ჰაუპტვახტს, ანუ დროებით პატიმრობას, შიშის გამო ბევრი ამას ჭამდა და აღიარებდა, რომ მართლაც არ იყო ქართველი.

●

ვინ დაიწყო ომი, თანაც რამოდენიმეჯერ? ვინ უღალატა ერეკლე მეორეს? ვინ წაგვკიდა ოსებს და აფხაზებს ჩვენსავე მიწაზე? ვინ ჩაგვიდო ერთ გოჯ მიწაზე ნაღმები ავტონომიების სახით? რა თქმა უნდა, რუსეთმა!

მერე? რაღა მერე, თუნდაც შაშას და კოლას დაეწყოთ, რა მნიშვნელობა აქვს, მაინც ხომ ჩვენი მიწა დაიფლითა და შემცირდა შაგრენის ტყავივით?

ვინ დაიწყო ომი, როცა ტაო-კლარჯეთი აგვახიეს? არ იცით? რას ჰქვია, არ იცით, დღეს ხომ ჩვენი ტერიტორიების დიდი ნაწილი, ეკლესია-მონასტრები მეგობარი თურქეთის საკუთრებად ითვლება? ვერ გავიგე, რანაირად შეიძლება ჩაითვალოს მეზობელი მეგობრად, თუკი მიწა წამართვა და სკოლებში ბავშვებს ასწავლის, რომ აჭარაც მათია? მაშინ რა გამოდის, ერთი-ორი საუკუნის შემდეგ რუსეთიც მეგობარი გახდება? აგერ მეორე მაგალითი – აზერბაიჯანს საინგილო აქვს წაღებული, მაგრამ ხომ არის მეგობარი? არის!

მაშინ ამიხსენით, რას დარბის ეს ვინმე ქაცარავა საოკუპაციო ზოლში, რას მიდი-მოდის, რა პატრულირებას ანხორციელებს გრიქულ... უკაცრავად, გრიგოლ ვაშაძესთან ერთად? სამწუხაროდ, დღეს საზოგადოებაშიც და ტელეეკრანებიდანაც ისეთები ყეყეყლაობენ, არც ერთ ომში თითი თითზე რომ არ დაუკარებიათ და ღმერთმა ნუ ქნას, თუ რამე მოხდა, ისევ ჩირგვებში დაიმალებიან!

●

არა, მართლა ვინ დაიწყო ომი? რუსეთმა დაიწყო, რუსეთმა, თქვე შობელძაღლებო, მეტი ვინ დაიწყებდა? სამაგიეროდ, თურქეთს არ დაუწყია არასდროს, ის ჩვენი მეგობარია და ამიტომ. არც აზერბაიჯანს დაუწყია, საინგილო ისევ ქართველებმა აჩუქეს ხმლის გაუქნევლად და ტყვიის გასროლის გარეშე. ეგეც მეგობარია და ამიტომ. ჩვენს ტელეწამყვანებს არ სჯერათ, რომ ომი რუსეთმა დაიწყო, ასე უწერიათ ფულის "პაჩკაზე", რომელიც ამ საქმისთვის გადასცეს. ჰო, თუ სალომე ზურაბიშვილის მხრიდან, ან სახელისუფლებო წრეებიდან იტყვიან, რომ დამნაშავე რუსეთია, თვალები უნდა დაპრაწონ მრავალმნიშვნელოვნად, დაღლილი სიფათით ზემოთ აიხედონ და არ უნდა დაიჯერონ. სცენარია ასეთი. სამაგიეროდ, ვინმე ქაცარავა უნდა ჩართონ საოკუპაციო ზოლიდან, რომელსაც პარალელურად ტურისტული ბიზნესი აქვს რუსებთან ერთად. დიახ, უნდა ჩართონ და ალაპარაკონ, რომ ამ კვირაში აღარ მოესწრება, მაგრამ იმ კვირის ბოლოს აუცილებლად დაიბრუნებს დაკარგულ ტერიტორიებს. მერე ტელეკამერები უნდა მიუშვირონ ერთ კაცს, რომელიც მავთულხლართებს მოადგება ხოლმე იქითა მხრიდან. ჯერ ერთი, ვერ გავიგე, იქით მხარეს მხოლოდ ეს ერთი ადამიანი დარჩა? მეორეც – აქედან რომ მიადგება ხოლმე ხუთასი კაცი თუ ქალი, არც ერთს არ რცხვენია? ეტყობა, იმ კაცსაც ეგეთი ფუნქცია აკისრია, თორემ როგორ არ დაიღალა ხელის ამდენი ჩამორთმევით? მოკლედ, ამ ქვეყანაში ზოგიერთმა ყველაფერი ბიზნესად აქცია, მათ შორის ოკუპაციაც, თანაც ეს ზოგიერთი ცდილობს, ეს თემა პრივატიზაციით მიისაკუთროს. აი, ისე, ზოგმა საპატრიარქო რომ მიისაკუთრა.

25 წელიწადი გავიდა, ხალხო, ერთი ადამიანის სიცოცხლის თითქმის ნახევარი და ჩვენ ისევ იმაზე ვჩხუბობთ, ვინ დაიწყო ომი, რის დამბრუნებელ-გამმარჯვებლები ვართ, არ გადამრიოთ!

ომი დაიწყეს შაშამ, კოლამ და რუსეთმა, ამით რა იცვლება?!

ახლა არ მითხრათ, ეს სახუმარო თემა არ არისო – არც ვხუმრობ!

გელა ზედელაშვილი

ცავაფანემ, ზაზაჯან, შენ სინდისი ვაბშემ ჩუნეს?

ზაზა ოქუაშვილი – ოსტაპ ბენდერის ზეადმატებული „მემკვიდრე“?!

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ N37)

მოდი და გაიგე, როდის ცრუობს და როდის ღაღადებს სიმართლეს ზაზა ოქუაშვილი, თუ „ქართული ოცნება“ ასე ატერორებდა, 2016 წელს რატომღა უხდიდა მადლობას ხელისუფლებას? მადლობას კი იხდიდა, მაგრამ გულს თურმე სხვა ზრახვები უღრღნიდა „პატივცემულ“ ზაზას, როგორც ირკვევა, მადლიერების გამოხატვამდე გაცილებით ადრე დაუწყია ინტრიგების ხლართვა. საქმეში ჩახედული ადამიანებისგან ვიცი, ოქუაშვილმა „ფილიპ მორისი“ და „საქართველოს ბანკი“ მილიონობით თანხაში „გადააგდო“, „ომეგას“ ამერიკული კომპანიის 120-მილიონიანი დავალიანება ჰქონდა, ამიტომ „ფილიპ მორისი“ მათთან ხელშეკრულებას წყვეტდა, ოქუაშვილმაც შემდეგი გეგმა მოიფიქრა, თუ ამერიკელები „ომეგასთან“ აღარ ითანამშრომლებდნენ, 120 მილიონი დოლარის სანაცვლოდ, მხოლოდ „ომეგას“ კუთვნილი შენობა-ნაგებობები შერჩებოდათ ხელში. ოქუაშვილმა მთელი თავისი ქონება „საქართველოს ბანკში“ ჩადო 30 მილიონ დოლარად, მიღებული თანხა ოფშორულ კომპანიაში (პანამა) გადარიცხა, ანუ ფული გადამალა. ბანკის ხელმძღვანელობამ რომ გაიგო „ფილიპ მორისი“ „ომეგასთან“ თანამშრომლობას წყვეტდა, მიხვდნენ 30 მილიონ დოლარში მხოლოდ ვაშლიჯვრის მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები რჩებოდათ, ანუ გაცილებით ნაკლებად ღირებული ქონება. ბანკის წარმომადგენლები მაშინვე დაუკავშირდნენ ოქუაშვილს, ამან სესხის აღება არ უარყო, მაგრამ ფულს ვეღარ დავაბრუნებ და სესხის გადახდა არ შემიძლიაო. „საქართველოს ბანკმა“ სასამართლოს მიმართა და მხოლოდ ოთხწლიანი დავის შემდეგ მოახერხა პროცესის მოგება.

„ფილიპ მორისი“ და „საქართველოს ბანკი“ ამბობენ ზაზა ოქუაშვილმა გამოძალვასთან კავშირში რომ „ამხელდა“ და ვინიცობაა ეს უკანასკნელი იუარებდა, ზაზა-ბატონი ამ „კომპრომატს“ გამოუქვეყნებდა, მაშინ შენს ცოლს ჩემს კომპანიაში რა უნდოდაო. ოქუაშვილს სხვების მიმართაც გამოუჩენია „გულუხვობა“, ავტომანქანებით დაუსაჩუქრებია დიდი ბრიტანეთის ელჩი, ტურიზმის დეპარტამენტი, ერთ-ერთი აჭარელი კოლეგა-დეპუტატი, დაუზუსტებელი ინფორმაციით, მინისტრთა კაბინეტის წევრებსაც სთხოვდა, სხვადასხვა ღირებულების ავტომობილები საჩუქრად წაიყვანეთო. „ავი ენები“ იმასაც ამბობენ ზაზა ოქუაშვილმა „ფილიპ მორისი“ და „საქართველოს ბანკი“ მილიონობით თანხაში „გადააგდო“, „ომეგას“ ამერიკული კომპანიის 120-მილიონიანი დავალიანება ჰქონდა, ამიტომ „ფილიპ მორისი“ მათთან ხელშეკრულებას წყვეტდა, ოქუაშვილმაც შემდეგი გეგმა მოიფიქრა, თუ ამერიკელები „ომეგასთან“ აღარ ითანამშრომლებდნენ, 120 მილიონი დოლარის სანაცვლოდ, მხოლოდ „ომეგას“ კუთვნილი შენობა-ნაგებობები შერჩებოდათ ხელში. ოქუაშვილმა მთელი თავისი ქონება „საქართველოს ბანკში“ ჩადო 30 მილიონ დოლარად, მიღებული თანხა ოფშორულ კომპანიაში (პანამა) გადარიცხა, ანუ ფული გადამალა. ბანკის ხელმძღვანელობამ რომ გაიგო „ფილიპ მორისი“ „ომეგასთან“ თანამშრომლობაზე მამის ხელმოწერა გააყალბა და ამ ყალბი მინდობილობის გამოყენებით, მას მალულად გაუყიდა სარაჯიშვილის ქუჩაზე მდებარე კომერციული ფართი (მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა), სადაც ახლა „ომეგას“ სტამბაა განთავსებული. რაც შეეხება მეორე სარჩელს, რობერტ ოქუაშვილის განცხადებით, ჩუბინაშვილის ქუჩაზე მდებარე მისი კუთვნილი ფართი (1020,66 კვ.მ), ტელეკომპანია „იბერიის“ ტერიტორია, იჯარით ჰქონდა შვილისთვის გადაცემული, მაგრამ ხუთი წლის განმავლობაში მისგან ერთი თეთრი არ მიუღია. ზაზა ოქუაშვილმა გავლენიანი მფარველების წყალობით, სამივე დავა მოიგო, მარტოხელა დედაზე ისიც უთქვამს, ეგ ჩემი კი არა, მამაჩემის საყვარელი იყოო, რაც მისმა დაცვის წევრებმა დაუდასტურეს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქალბატონის სარჩელი უამრავი მოწმის ჩვენებით იყო გამაგრებული, სასამართლომ მხოლოდ ზაზას „ტელახრანიტელების“ ვერსია მიიჩნია სარწმუნოდო. „ომეგაში“ უმუშავია ოქუაშვილის დედასაც, მაგრამ მამაზე გამწყრალ ზაზა-ბატონს თანამშრომლების თანდასწრებით, ხელისკვრით გაუგდია დედამისი სამსახურიდან. როცა ამ ინფორმაციებთან დაკავშირებით, ჟურნალისტმა კითხვა დაუსვა ზაზა ოქუაშვილის თანამეცხედრეს, ქალბატონმა პარლამენტარმა მოკლე პასუხით გამოისტუმრა, ჩემი მამათილი რვა წლის გარდაცვლილია, მოდით, ცოცხლებზე ვილაპარაკოთო. ვერაფერს იტყვით, „რკინისებური“ არგუმენტია. ძალზე საინტერესოა 51-მილიონიანი საბიუჯეტო დავალიანების ამბავი, რომელმაც კოლექტიური ნაცები უნისონში ააჟრიამულა „ყარიბ“ პრეზიდენტყოფილთან. კომპეტენტური წყაროების ცნობით, როდესაც ზაზა ოქუაშვილი მთავრობის გარკვეულ წევრებთან „სიამტკბილობაში“ გახლდათ, სამი თვით ადრე გაარკვია, რომ აქციზის გადასახადი თამბაქოს ნაწარმზე 1 სექტემბრიდან 50 თეთრით ძვირდებოდა. მან მაშინვე ე.ი. წინასწარ გამოიტანა აქციზური მარკები ფინანსთა სამინისტროდან, 24-საათიან რეჟიმში ამუშავა საწარმოები, დაამზადა დიდი რაოდენობით სიგარეტი, გამოიყენა იაფად ნაყიდი მარკები, მაგრამ თამბაქოს ნაწარმი ძვირად გაყიდა, რამაც დიდძალი მოგება მოუტანა. მან პარალელურად ხელოვნურად დააგროვა საგადასახადო ვალდებულებები და დაცვის მექანიზმების შექმნას შეუდგაო.

პოლიტიკოსობა და მედიამფლობელობა

მოგეხსენებათ, ზაზა ოქუაშვილის თანამეცხედრე, ქალბატონი ნატო ჩხეიძე, მეორეგზის პარლამენტარი გახლავთ. „ვარდების რევოლუციამდე“ ასლან აბაშიძის „აღორძინების“ სიით მოხვდა საკანონმდებლო ორგანოში. ეს არც არის გასაკვირი, ზაზა ოქუაშვილსა და აბაშიძეს წლების განმავლობაში ბიზნეს-პარტნიორები იყვნენ, ადგილობრივ ბაზარზე თამბაქოს ნაწარმის მონოპოლისტის პოზიცია ეკავათ. ზაზა ოქუაშვილმა თავის ბოლო ლონდონურ „აღსარებაში“ ბრძანა, ნაციონალებს არასდროს დავუყაჩაღებივარ, ერთობლივად ვმოქმედებდითო. თუ ეს სიმართლეა, გამოდის საკაშვილ-ოქუაშვილის ტანდემმა ასლან აბაშიძეს, როგორც ძველი თბილისელები იტყოდნენ, „კუკლა“ გაუთამაშეს, რომ „ომეგას“ ასლანისეული წილიც უშფოთველად მიეთვისებინათ. ისე, თუ მართლაც თავიდანვე „ჩაბრატებულები“ არ იყვნენ ეს ორი „პატიოსანი გვამი“, ნაცები ოქუაშვილს „ფილიპ მორისის“ ნაცვლად რატომ გადაუხდიდნენ იმ 70 მილიონ დოლარს, რომელზეც „საერთო გაზეთის“ წინა ნომერში ვისაუბრეთ?

სხვათა შორის, სანამ ზაზა ოქუაშვილის მოქმედი ხელისუფლების მხრიდან „დატერორების“ ამბავს შევიტყობდით, რასაც ცნობილი აუდიო თუ ვიდეოჩანაწერების გამოქვეყნება და ზაზა-ბატონის მხრიდან ნაციონალების საპრეზიდენტო კანდიდატისადმი ღია მხარდაჭერა მოყვა, ტელეკომპანია „იბერიას“ უკვე ეტყობოდა, კოლექტიური ნაცებისადმი „გულგრილი“ რომ არ იყო. ყველა თოქ-შოუში, როგორც წესი ჩამომწკრივებულები ყავდათ ხსენებული კონტიგენტის ოდიოზური სახეები, წამყვანები ისეთი მოწიწებით უსვამდნენ კითხვებს და უსმენდნენ, რომ საზოგადოება, განსაკუთრებით ინტერნეტსივრცეში, გაკვირვებას გამოთქვამდა ტელეკომპანიის მფლობელებისა და თანამშრომლების მიმართ, ამათ ამნესია ხომ არ დაემართათ, კარგი, ის არ ადარდებთ ხალხმა რა გადაიტანა ნაცრეჟიმის დროს, ის როგორ დაავიწყდათ თავად როგორ მოექცნენ ნაციონალები, დითირამბებს რომ უმღერიან და განსხვავებული აზრის მქონე რესპოდენტებს ხმის ამოღების საშუალებას არ აძლევენო. აკაკი გოგიჩაიშვილის მეთაურობით, „რუსთავი-2“-ის „ნაღებიც“ რომ გამოჩნდა „იბერიის“ ეთერში თუ მის მიღმა, აშკარა გახდა, რომ რაღაც ბინძურ თამაშს ჰქონდა ადგილი.

სანდო და კომპეტენტურმა წყაროს ცნობით, ბოლოდროინდელ ამბებს წინ უძღვოდა ე.წ. რეფორმები და გადალაგებები „იბერიაში“. გაიხსენეთ რამდენი წამყვანი და ასე ვთქვათ, სახე წავიდა თუ გაუშვეს ტელევიზიიდან, გიორგი გასვიანი, ლალი მოროშკინა, მაკა რაზმაძე და ა.შ. ეს მოვლენები ტელეკომპანიაში ვანო პავლიაშვილის, ანუ ვანიჩქას მისვლის შემდეგ განვითარდა. ვანო პავლიაშვილის ჟურნალისტური „მოღვაწეობის“ ისტორიაში უფრო ღრმად ქექვას არ დავიწყებთ, ახლო წარსულიდან ვიტყვით, რომ ვანიჩქა ჯანსუღ ჩარკვიანის გაზეთის „ქართული სიტყვის“ რედაქტორი გახლდათ და პარალელურად, მისი ქალიშვილის, თაკო ჩარკვიანის უახლოესი მეგობარია. როცა ეს გაზეთი დაიხურა, სწორედ ამ ახლად განაციონალებული ქალბატონი

8 გვ. →

შეტევა ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ

მკვლელების მიერ „გაპროტესტებული“ მკვლელობა და დაუსჯელი დამნაშავეების მიერ „აღდგენილი“ სამართალი

დღევანდელი ვითარება ძალიან გავს შევარდნაძის დროინდელს. შევარდნაძის დროს თუ შაოსანი დედები წყვეტდნენ საკითხებს, დღეს შვილმკვდარი მამების „ფენომენი“ მოგვევლინა. აქვე აღვნიშნავ, მტერსაც კი არ ვუსურვებ შვილის სიკვდილს მოესწროს და როცა ხორავას ქუჩის ტრაგედიის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა, მეც, ისევე როგორც სრულიად საქართველო, შეძრული ვიყავი. შვილმოკლულ ოჯახებს, რომელთა შვილები მეგობრებს შორის საქმის გარჩევას შეეწირნენ, ბოლომდე ვგულშემატკივრობდი. დღესაც მათი ამ დიდი, მოუშუშებელი ტკივილის გახსენება მზარავს, თუმცა მას შემდეგ რაც ხორავას ქუჩის ტრაგედია აქ მოკლული ბავშვის მამამ პოლიტიკაში გადაიყვანა და შესაბამისად შვილის სული საბურთაოდ გახადა, მას, ამ შვილმოკლულ მამას, უკვე ვეღარ განვიხილავ როგორც მხოლოდ შვილმოკლულს. ის, იმ „შაოსანი დედების“ „ინსტიტუტს“ დაემსგავსა, რომელიც მისმა შემქმნელმა საჭირო დროის საჭირო მომენტში გააქრო...

●

„ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მართულ „შვილმკვდარი მამების“აქციაზე ნაცხროვის სახელმწიფოს წინააღმდეგ მომართული მიზანი აშკარად იკვეთება. ძალზედ სამწუხაროა მშობლისთვის და საზოგადოებისთვის ახალგაზრდის სიკვდილი, ფაქტია, რომ სარალიძის შემთხვევაში მისი შვილი და ლევან დადუნაშვილი ბულინგის გამო საქმის გარჩევას შეეწირენ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რიგი ობიექტური მიზეზების გამო დადუნაშვილის მშობლები არ დგანან სარალიძის მამის გვერდით და ნაცხროვას დაღუპული შვილით სპეკულაციის საშუალებას არ აძლევენ. სამაგიეროდ ზაზა სარალიძეს სხვადასხვა დროს მხარდასაჭერ აქციაზე გვერდს უმშვენებდა საკაშვილის ცოლი სანდრა რულოვსი, დედა-გიული ალასანია, ძმა-დავით საакაშვილი, ბიძაშვილი-ნიკა ალასანია და სხვა მსხვილ-წვრილფეხა ზონდერ- ნაცები რომლებიც ცხრა წლის მანძილზე კლავდნენ, აუპატიურებდნენ, ქონებას ართმევდნენ, ათას სიბინძურეს სჩადიოდნენ და შიშის ზარს სცემდნენ საზოგადოებას. სარალიძემ მშვენივრად იცის ვინ არის და რას წარმოადგენს მისი ნათესავი თუ ახლობელი ზვიად კუპრავა, მაგრამ სავარაუდოდ ის არ იცის როგორ ექცევიან ნაცები „გამოყენებულ“პერსონებს. ვიღაც-ვიღაცეები იმასაც ამბობენ, რომ თითქოს პოლიტიკა არაფერ შუაშია და მხოლოდ მკვლელების დასჯას მოითხოვენ, მაგრამ მკვლელების გარემოცვაში რომ დგანან, ვერ ამჩნევენ?! მკვლელების გაპროტესტებული მკვლელობა და დაუსჯელი დამნაშავეების აღდგენილი სამართლიანობა არ არსებობს! გასაგებია, რომ ტრაგედია მოხდა, მოუნელებელი ტკივილია მშობლისთვის შვილის დაკარგვა, მაგრამ მიუღებელია შენს ტრაგედიას სახელმწიფო გადააყოლო, პოლიციას აგინო, აფურთხო, გამოიწვიო, ყველა წითელი ხაზი გადაკვეთო და არასერიოზული პოლიტიკური განცხადებები აკეთო. აშკარად ჩანს, რომ პროცესები ხელისუფლებაში დაბრუნების სურვილით შეპყრობილი ნაცხროვის მიერ იმართება... საინტერესოა ნაცების ზეობის პერიოდში, რომ მომხდარიყო ეს ტრაგედია ზაზა სარალიძე ხმის ამოღებას გაბედავდა?სწორედ მის გვერდზე მდგარი ზონდერების მიერ ჩადენილი მკვლელობების გადასაფარად ხდება ის რაც ხდება. ყველას ახსოვს „სანაქებო პოლიციელების’ და „უძლეველი სპენაზელების“ მიერ აფრასიძეების ოჯახის მძიმე ტექნიკით განადგურება, ბუტა, სანდრო და სხვა უამრავი უდანაშაულო ახალგაზრდა რომლებიც უმოწყალოდ ჩახოცეს და დღესაც არ გამოუძიებიათ ძირფესვიანად. ასევე ნაცრეჟისორების მიერ დადგმული მუხროვანის ამბოხი და ჩაცხრილული გია კრიალაშვილი დაჭრილ მეგობრებთან ერთად... რუსეთის ვითომ ჯაშუშებისგან გაუპატიურების და წამების შედეგად მიღებული ჩვენებები და გაუგონარი წნეხი პოლიტიკური ოპონენტების და არასასურველი ხალხის მიმართ. **სწორედ ეს ყველაფერზე წამსვლელი, ამაზრზენი ნაცხროვა დგას დღეს ზაზა სარალიძის გვერდით და საფრთხეს უქმნის ჩვენს სახელმწიფოს.** ზაზა სარალიძესთან ერთად პანკისის ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციისას სასიკვდილოდ დაჭრილი თემირლან მაჩალიკაშვილის მამაც შვილის მკვლელის დასჯას მოითხოვს და კატეგორიულად უარყოფს, რომ მის ვაჟს, თემირლან მაჩალიკაშვილს კავშირი ჰქონდა 2017- წლის ნოემბერში, თბილისში განეიტრალებულ ახმედ ჩატაევის ჯგუფთან და შვილის მკვლელობაში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებს ადანაშაულებს. მიმდინარე წლის აპრილში ხელისუფლების მიმართ მაჩალიკაშვილის ოჯახს, ახლობლებს და ხეობის მაცხოვრებლებს შემდეგი ძირითადი მოთხოვნები ჰქონდათ-თემირლან მაჩალიკაშვილის ოჯახისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება; თემირლან მაჩალიკაშვილის უდანაშაულოდ აღიარება; თემირლან მაჩალიკაშვილის მკვლელობის საქმეზე დამნაშავეთა დასჯა. შემდეგ გაიჟღერა მუქარამ, რომ თუ დამნაშავეები არ დაისჯებიან, „საქართველო პანკისის ხეობას დაკარგავს“. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პანკისში სპეცოპერაციის დროს დაჭრილი 19- წლის თემირლან მაჩალიკაშვილის ავსტრიაში სამკურნალოდ გადაყვანა ავსტრიის შინაგან საქმეთა მინისტრმა შეაჩერა. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია ავსტრიულმა გამოცემამ გაავრცელა. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გაასაჯაროვა ვიდეომასალა და ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც სუს-ის განცხადებით, „დადგენილია“ კავშირები ტერორიზმში ბრალდებული ახმედ ჩატაევის ჯგუფსა და 26- დეკემბერს პანკისის ხეობაში სპეცოპერაციის შედეგად დაკავებულ საქართველოს ხუთ მოქალაქეს შორის, რომლებსაც ბრალად ტერორისტული საქმიანობის ხელშეწყობა ედებათ. მალხაზ მაჩალიკაშვილი ირწმუნება, რომ სპეცოპერაციას სუს-ის ყოფილი უფროსის მოადგილე სოსო გოგაშვილი ხელმძღვანელობდა და სწორედ მისი მითითებით ჩაუდეს მის დაჭრილ შვილს ყუმბარა, სუსის უფროსმა ვახტანგ გომელაურმა აღნიშნულთან დაკავშირებით განაცხადა-„შემიძლია თამამად ვთქვა, რომ დუისში, სპეცოპერაციის დროს, ჩემი არცერთი მოადგილე არ იმყოფებოდა“ — საკუთარ ფეისბუქ გვერდზე მალხაზ მაჩალიკაშვილი იგივე (ვახა ტერლოევი) სისტემატიურად აქვეყნებს, იოსებ გოგაშვილის ფოტოს და მას, მისი შვილის, ისლამური სახელმწიფოს მებრძოლ ტერორისტებთან აქტიურ ურთიერთობაში მყოფ, ასევე ტერორიზმში ეჭვმიტანილი თემირლან მაჩალიკაშვილის ლიკვიდაციას აბრალებს. სოსო გოგაშვილის გადადგომის შემდეგ მალხაზ მაჩალიკაშვილმა განაცხადა- „გადადგომით ეს არაფერს არ ნიშნავს, გოგაშვილი უნდა დაისაჯოს იმ სასტიკი დანაშაულისთვის. ის უნდა დაისაჯოს, გომელაურიც უნდა დაისაჯოს. ჩემთვის მაგათი გადადგომა და გადაყენება არაფერს არ ნიშნავს იმიტომ, რომ მათ აქვთ ჩადენილი საუკუნის დანაშაული. მე კი ვიცი, რომ ეს საუკუნის დანაშაულია, ამას იძახის დღეს მთელი მსოფლიო.“ მალხაზ მაჩალიკაშვილი ადრეც დაემუქრა ქართულ სახელმწიფოს „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის“ წინ ტერაქტის მოწყობით და საკუთარ თანამოაზრეებთან ერთად თავის აფეთქებით, თუმცა შემდეგ აღნიშნული განცხადება საკუთარ მღელვარებას გადააბრალა და ტერაქტის მოწყობის სურვილი უარყო. “პარტია ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს” წევრი, პალამენტარი გიორგი ბეგაძე მალხაზ მაჩალიკაშვილის მუქარას, იოსებ გოგაშვილის ოჯახის განადგურების შესახებ სოციალურ ქსელში გამოეხმაურა:“უამრავი ადამიანი დგას ჩვენი ქვეყნის სამსახურში და ემსახურება თავის სამშობლოს. მუქარა ასეთი ადამიანების მიმართ არის დაუშვებელი!!!სოსო გოგაშვილი გამორჩეული ადამიანია, რომელიც ემსახურებოდა და ემსახურება ჩვენს ქვეყანას! მან უამრავი საფრთხე და რისკი ააცილა ჩვენს სახელმწიფოს! ის არის ჩვენი ქვეყნის პატრიოტი და ერთგული ადამაინი. იოსებ გოგაშვილის და მისი ოჯახის წევრების წინააღმდეგ ასეთი ღია მუქარა ეხება მთელ ქვეყანას!!!” დიახ, ასეთი ღია მუქარა ეხება მთელს ქვეყანას და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაული დაუსჯელი არ უნდა დარჩეს. სახელმწიფომ კი მკაცრი ზომები უნდა მიიღოს მათ მიმართ ვინც პოლიციელებს აგინებს და აფურთხებს. საზოგადოებას ისედაც არ აკლია ნიჰილიზმი და არ ჭირდება სახელმწიფოს მიერ დაუცველი და გაწირული პოლიციელის თუ სპეცსამსახურის თანამშრომლების ღირსების შელახვის ყურება.

ნაცხროვა დღეს, რომ „შვილმკვდარი მამების“ პროტესტს „ამაგრებს“ არცთუ შორეულ წარსულში მომხდარ მოვლენებს შევახსენებ: 2012- წლის აგვისტოს ბოლოს ლაფანყურში ცამეტი კაცის სიცოცხლე შეეწირა (ლოპოტის ხეობაში ჩატარებულ სამხედრო სპეცოპერაციას ათი მეომარი ემსხვერპლა, მათ შორის ორი საქართველოს მოქალაქე), აგრეთვე ორი სპეცდანიშნულების რაზმის წევრი და ერთი სამხედრო ექიმი.შინაგან საქმეთა იმდროინდელმა მინისტრის მოადგილის, გია ლორთქიფანიძის, სახელმა ლაფანყურის საქმეში მოგვიანებით გაიჟღერა, როდესაც საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ ლოპოტის ხეობაში დახოცილი მეომრები ჩრდილო კავკასიიდან შემოსული “ბოევიკები” კი არა, საქართველო-დაღესტნის საზღვრისკენ მიმავალი ქისტი ახალგაზრდები იყვნენ. პანკისის ხეობაში ამბობდნენ, რომ ისინი (და არა მარტო ისინი) სწორედ გია ლორთქიფანიძემ ჩამოიყვანა, რომლებსაც შემდეგ რამდენიმე თვე კახეთში, შაქრიანის ბაზაზე ამზადებდნენ და დაღესტანში გადასასვლელად დერეფანსაც სწორედ ის დაჰპირდაო. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის გარდა, სახელდებოდა მისი ძმა, დავით ლორთქიფანიძეც, რომელიც იმ დროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის კახეთის სამხარეო სამმართველოს უფროსის მოადგილე იყო.მალე ლაფანყურის მოვლენებს გამოეხმაურა კავკასიის იმარათი — გაავრცელა განცხადება, რომელშიც მომხდარს კარგად დაგეგმილი პროვოკაცია უწოდა. განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ ამ საქმეს აუცილებლად გამოიძიებდნენ და ღალატის დამტკიცების შემთხვევაში გია ლორთქიფანიძესა და მის თანამოაზრეებს სასჯელი არ ასცდებოდათ (სასჯელმაც ძაან დააგვიანა)აღმოჩნდა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო გარკვეული თანხის საფასურად ჩრდილოკავკასიელ მებრძოლებს საქართველო-დაღესტნის საზღვრის უსაფრთხოდ გადაკვეთის გარანტიას აძლევდა, აღარც ექსპერტები უარყოფდნენ. თუმცა გია ლორთქიფანიძე ამ ინფორმაციას აბსურდულს უწოდებდა და მოსახლეობას არწმუნებდა, ლაფანყურის მოვლენებთან საერთო არაფერი მაქვსო. საბოლოოდ, შურისძიების მომლოდინე ჩეჩნებიც და ჩვენი საზოგადოებაც ლაფანყურის საქმის გამოძიების დასრულებას ელოდნენ, მოულოდნელად, 2013 -წლის 15- აპრილს “ფეისბუკში” გამოჩნდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი უფროსის, დათა

8 გვ. →

ცავატანეშ, ზაზაჯან, შენ სინდისი ვაბშეშ ჩუნეს?

← 6 გვ.

თაკოს რეკომენდაციით იქნა მიღებული პავლიაშვილი „იბერიაში“. აქედან გამომდინარე, ეს „ობიექტური“ ტელევიზია პირდაპირ ვაშაძის საარჩევნო შტაბთან არის მიბმული. როგორც ირკვევა, ოქუაშვილს „საქართველოს ბანკისთვის“ დაახლოებით 85 მილიონამდე აქვს გადასახდელი. ასე რომ, ამ კაცისთვის ეს არის ჩვეულებრივი მაქინაციები, ვალების აღება, მერე ვიღაცების გადაგდება რაღაც ინტრიგებით და ა.შ. იგივე ყიფიანიც მინისტრობიდან წასვლის შემდეგ, მასთან ოფიციალურად მუშაობდა, მაგრამ სამი წლის განმავლობაში ოქუაშვილი ხელფასს არ უხდიდა. ბოლოს, როგორც თვითონ ლევან ყიფიანი ამბობს, ოქუაშვილმა უთხრა, თუ გინდა დავალიანება აგინაზღაურო, ახლა ეს ჩანაწერები გავაკეთოთ, ამას არსად წავიღებ, შიდა მოხმარებისთვის გვჭირდებაო. ოქუაშვილს წესიერ ბიზნესი არასდროს უკეთებია, მთელი თავისი „მოღვაწეობის“ მანძილზე სულ მაქინაციებში იყო ჩართული. „ქართული ოცნებამ“, ოქუაშვილს სააკაშვილის მიერ წართმეული ბიზნესი და ტელეკომპანია „იბერიაც“ დაუბრუნა, ამან კი, იმის მაგივრად მადლობა მოეხადა, ახალ ხელისუფლებას აქეთ სთხოვს 25 მილიონს, სააკაშვილმა წამართვა და თქვენ უნდა მომცეთო. დალოცვილო, სააკაშვილმა წაგართვა და ქართულ ოცნებას“ სთხოვ ამ ფულს? ოქუაშვილმა ახლა რა მოიფიქრა, გვარამია-კვესიტაძესთან ინტერვიუში რომ თქვა, ოფშორული კომპანია შევქმენიო, იცრუა, არავითარი ოფშორული კომპანია არ იყო, საქართველოშია რეგისტრირებული. ჩარიცხა იქ ის ვითომდა ვიღაცებისგან მოთხოვნილი ოთხი მილიონი, იმედი ჰქონდა, რომ ბანკიდან ახლადშექმნილ კომპანიას ასე ადვილად ვერ მისცემდნენ ამხელა თანხას, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ. ყველაზე კურიოზული ის არის, რომ ეს თანხა „ომეგას“ დირექტორებს საკუთარი ხელით აქვთ გამოტანილი ორ ეტაპად. ოქუაშვილი ბრძანებს, ეს ფული მათ ვიღაცებმა წაართვესო, ამ „ძარცვა-ყაჩაღობის“ შესახებ სხვამ კაციშვილმა არ იცის და ვერც ვერავინ ამტკიცებს, რომ მათ ეს ფული ვიღაცამ წაართვა. კაცმა, რომელმაც ამხელა ამები დაგეგმა, თვითონ არ ამბობს ოქუაშვილი მე დავგეგმეო, იმას ველარ მოიფიქრებდა, რომ ჩემი თანამშრომლები ბანკიდან ამხელა ფულით რომ გამოვლენ, შეიძლება ვიღაც დახვდეს და წაართვასო? თუ სხვა რაღაცაში არ იყო საქმე, ასეთი შემთხვევისთვის ხომ გაემზადებოდა, ამდენ ჩანაწერებს თუ აკეთებდა, ერთი ვიდეოკამერის შოვნა გაუჭირდა, რომ ესეც გადაეღო, რატომ არ გადაიღო, თუ გადაიღო, რატომ არ ჩანს სადმე? შეიძლება ისევ ოქუაშვილს მიუტანეს მათ ეს ფული, ვიცით ჩვენ ეს? არ ვიცით!

ვფიქრობთ, ოქუაშვილის მხრიდან სახელმწიფო რეკეტზე საუბარს, სერიოზული პოლიტიკური სარჩული უდევს. ის რასაც ოქუაშვილი ბიზნესძალას ეძახის, ეს არავითარი ბიზნესძალა არ არის, ბიზნესი უბრალოდ მიზეზია, აქ უკვე აშკარად იკვეთება სახელმწიფო შეთქმულების ნიშნები, რომელშიც ის აქტიურ მონაწილეობას იღებს. ეს შეთქმულება მარტო საქართველოში არ დაგეგმილა. სხვათა შორის, კრემლის რუპორად აღიარებულმა „ოპოზიციონერმა“ ჟირინოვსკიმ ახლახანს განაცხადა, ნახეთ თუ გრიშა ვაშაძე არ გაიმარჯვებს საპრეზიდენტო არჩევნებშიო. ოქუაშვილი რომ ჩართულია ამ პროცესში, ბევრი მტკიცება არ ჭირდება, სათანადო სამსახურებმა ყურადღებით მოუსმინონ მის ინტერვიუს „რუსთავი-2“-თან და დარწმუნდებიან ამ ინტერვიუმ ფაქტობრივად გვარამია-კვესიტაძის კარნახით ჩაიარა, აშკარად ჩანდა როგორ აქეზებდნენ ოქუაშვილს, რომელმაც მგონი, ისიც არ იცის, რა ჰქვია მისი ხელდასმით გაკეთებულ ჩანაწერებს და აუდიოფირის მაგივრად, აუდიოფილმს ამბობს. მთელ ინტერვიუს გვარამია მართავდა, ოქუაშვილმაც ჟირინოვსკივით, ღიად დაუჭირა მხარი გრიგოლ ვაშაძეს, საიდან ხარ ასე დარწმუნებული „პატივცემულო“, ვინ მოგაწოდა ეს ინფორმაცია, იქნებ ჩვენც გაგვიმხილო, რომ 29 ოქტომბრამდე „ილუზიებში“ არ ვიცხოვროთ...

მანანა სუხიშვილი
599 51 28 77

შეტევა ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ

← 7 გვ.

ახალაიას განცხადება, სადაც ამხილა გია ლორთქიფანიძე.-"სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: გამაჩნია მტკიცებულებები, რომ ლაფანყურის ავანტიურა ჩემი ძმის, ბაჩო ახალაიას (ის შინაგან საქმეთა მინისტრად ახალი დანიშნული იყო..) წინააღმდეგ დაგეგმა და გიორგი ლორთქიფანიძის ხელით განახორციელა ვანო მერაბიშვილმა, გაწირა რა ჩვენი თანამებრძოლები, უკიდურესად დაგვიძაბა ურთიერთობა ჩვენს ქისტ ძმებთან, რეალური საშიშროების წინაშე დააყენა ქვეყნის უსაფრთხოება და ქვეყნის იმიჯი".აღნიშნულმა განცხადებამ ლახვარი ჩასცა ნაცლიდერებს. ისინი ჯიუტად ამტკიცებდნენ, რომ სოციალური ქსელებით გავრცელებული განცხადების ტექსტი დათა ახალაიას არ ეკუთვნოდა. თუმცა საწინააღმდეგოს ამბობდა მისი ადვოკატი ირაკლი ზაქარეიშვილი — განცხადება მართლაც დათა ახალაიას დაწერილიაო, რაც კვლავ უარყო გია ლორთქიფანიძემ. მან მედიას განუცხადა, რომ თანამშრომლობდა ლაფანყურის საქმის საგამოძიებო ჯგუფთან და სიმართლე მალე გახდებოდა ცნობილი... ნაცმოძრაობის სამართალდამცავები ყელამდე სიბინძურეში იჯდნენ დანა

ჩანგლით მიირთმევდნენ ფეკალიებს. აჭარის კუდის უფროსმა პატარიძემ „ვერხუშკების“დავალებით ერთი „მტრის“მოშორება თავის ძმას დაავალა და არცთუ ცოტა თანხა გაატანა ჩეჩენ ქილერებთან რომლებმაც „ობიექტი“, რომ გაიკითხეს არ აღმოჩნდა „გასასაღებელი“და დამკვეთი კუდის უფროსის ძმა გაიკუზა, სოლიდური თანხაც „აახიეს“და კარგადაც ანერვიულეს ნაცჯეელები. კიდევ უამრავი ფაქტის გახსენება შეიძლება რომლებიც ლორთქიფანიძის და მერაბიშვილის „რეჟისურით“ხორციელდებოდა. ლორთქიფანიძის კრიმინალურ დაჯგუფებებს ხშირად აშუქებდა ოდესის მედიაც...ყოფილი ნაცი, რომ არ არსებობს რამოდენიმე დღის წინ კიდევ ერთხელ დაამტკიცა დამარცხებული ხალხის ტელევიზიამ. როცა მირზა სუბელიანის და ორი პირის ფარული ჩანაწერი გამოაქვეყნა. სუბელიანი აღნიშნულ ჩანაწერში ლამის ბასტილიის აღებას აღიარებს, თან დაუსაბუთებლად ტრაბახობს, რომ ყველგან-ყველა „გასატანი ს.ს საქმე თვითონ მოუკვარახჭინებია. ეტყობა დიდხანს იფიქრა „სცენარისტმა“რომელი კონკრეტული ქმედებები უნდა დაფიქსირებულიყო ჩანაწერში საზოგადოება კარგად, რომ აღშფოთებულიყო. თან, ნაცყოფილი ფაქტიურად ხელისუფლებას და კონკრეტულ ადამიანებს „მესიჯს უგზავნის“. ეჰ, რუსთავი-2 რაღაც ველარ დგამს ძველებურ სპექტაკლებს ხალხი ქუჩაში, რომ გამოიყვანოს, სოციალურ ქსელში მაგრად ღადაობენ მათ სცენარებზე და ერთხმად აღიარებენ, რომ მეგის ქარდავას უკეთესად გამოდიოდა ხალხის „დაგოიმება“...პირველ არხთან საუბარში ვიქტორ ჯაფარიძემ მირზა სუბელიანთან შეხვედრა გაიხსენა და აღნიშნა, რომ მას საპატიმროში რამდენჯერმე შეხვდა.„მირზა სუბელიანთან მისი მოთხოვნით ვიყავი, მაგრამ მისი ნალაპარაკები სერიოზულად არ ჩამითვლია. როგორ შეიძლება, ამის სერიოზულად ჩათვლა? სამარტოო საკანში ზის და კარგად ვერ არის, ეს ადამიანი დიდი სტრესის ქვეშაა. ამიტომ, მისი ნასაუბრები სერიოზულად ვერ მივიღე. მსგავსი საუბარი იყო, მაგრამ რა მიჭრეს და მოჭრეს, არ ვიცი. უბედურებაა, რომ პატიმრის სანახავად შევედი და ეს ვიღაცამ ჩაიწერა. შეხვედრას მისი მეგობარი ესწრებოდა, გვარი არ მახსოვს. მისი და ოჯახის მოთხოვნით შევხვდი. რეებს ლაპარაკობს, მისი საუბარი სერიოზულად არ მივიჩნიე. აბა, ამ ქვეყანაში ყველაფერი მირზა ყოფილა. ვუთხარი, სამარტოო საკანში რატომ არის და ვურჩიე, ვინმესთან ერთად დაჯექი, არ გაგიჟდე-თქო. გონს მოდი-თქო, ისიც ვუთხარი.

სოციალური ქსელის ერთ-ერთმა მომხმარებელმა კი ასეთი პოსტი „გამოაცხო“რომლის შინაარსაც დიდი უმრავლესობა იზიარებს და უხამსად დაცინის სპექტაკლის ავტორებს-' „ვისაც მართლა გონია რომ ვიღაც სუბელიანს მართლა 50 კაციანი ბანდები ყავდა, ვაი მაგათ პატრონს... უდესიანის და ბასიშვილის ბანდებს მოკითხვა... ვის დაკარგვია სუბელიანი ან ვის დაეკარგა, ისევ ნაცებს, მარა რაღაც ვერ მართეს ბოლოს, მძაფრსიუჟეტიანი არ გამოვიდა... ხო ისიც მაგარი იყოო ყოფილმა პროკურორმა გვარამია ნიუკუტიამ რომ ბრძანა ვანო ნაკაიძემ 5 მილიონი გადაუხადა თბილისის პროკურორს დისშვილის საქმეზოო, ხოო 5 მილიონი გადაიხადა ივანე ნაკაიძემ მისი დისშვილი რომ 8 წლიან„ სროკზე„ წასულიყოო ხორავას ქუჩის საქმეზე... ვინც შენ იურისტობა დაგაბრალა ვაიი მაგის ტვინს და ვინც შენ კაცად აღგიქვა საერთოდ...

მოკლედ, ძალიან წვალობს ნაცსექტა როგორმე ქუჩაში ხალხი გამოიყვანოს. თბილისი არც იდგა და არც ეხლა დადგება ნაცხროვის გვერდით რაიონებიდან ჩამოყვანილი ხალხი კი „ხარჯიანია“ასე, რომ ფარული ჩანაწერებს, სპექტაკლებს და დამარცხებული ტელევიზიის შოუს ვადა გაუვიდა, ვადა გაუვიდა ნაცხროვასაც...

და ბოლოს, სამშობლო არც ხაჭაპურია და არც ძროხა, სამშობლო სხვა რამეა და ეს არც სარალიძემ იცის და არც მისმა „პადელნიკმა“ ნაცხროვამ. სარალიძემ ისიც არ იცის, რომ ნაცსექტა მას საჭირო დრომდე, საჭირო მომენტამდე გამოიყენებს და მერე, ასევე საჭირო დროს სარალიძის შვილი, რომელიც ხელისუფლებამ კი არა, საკუთარმა მეგობრებმა საქმის გარჩევის დროს მოკლეს, დაავიწყდებათ...

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

„გიგას დათო“ - ცრუქაქუნა აფერისტი

ერთი კლასელი მყავდა, ჩუმ-ჩუმელა და მავნე, კლასში ყველა სიგლახის დამწყები და ხელ-შემწყობი. მასწავლებელი რომ დანაშაულში დაიჭერდა, ისეთ უწყინარ სახეს მიიღებდა, გეგონებოდა, ჭიანჭველაზე ფეხი არ დაუბიჯებიაო.

ამ ჩემს კლასელს მაგონებს დავით ბაქრაძე. ამასაც ისეთი უწყინარი სახე აქვს და ისე აღ-შფოთდება ხოლმე მოსახლეობის სოციალურ პრობლემებზე, თითქოს თვითონ არ იყო 10 წელიწადი ნაცების ავკაცობის „გამპრავებელი“ და ჩემი კლასელივით ყველა სიავის მომსწრე და ხელისშემ-წყობი.

პრეზიდენტობის კანდიდატად წარდგენისას თქვა: „მე არა ვარ მიხეილ სააკაშვილის კანდიდა-ტიო“ და არც უთქვამს, პრინციპში ტყუილი. ჯერ ერთი, არ აწყობს — ძებნილი კაცის მხარდაჭერილ კანდიდატს ვინ მისცემს ხმას, ამ-იტომ, ამჯერად, „ევროპული სა-ქართველოს“ მიერ გამოცხადე-ბული კანდიდატი ბატონი დავითი არა მარტო მისი ახალი ბელადის — გიგი უგულავას ფავოროტია, არამედ, როგორც ამბობენ და რო-გორც სოციალური ქსელიდანაც კარგად ჩანს, გიგა ბოკერიას რჩე-ულია და ფსონი მასზე სწორედ იმ თვისებების გამო დაიდო, ჩემს კლასელს რომ ჰქონდა და ბაქრა-ძესაც რომ ახასიათებს...

ხალხმა ბაქრაძეს უკვე შეარქვა „გიგას დათო“, ანუ გიგა ბოკერიას დათო და მის საარჩევნო კამპანიას, ჩვენი ინფორმაციით, დავით კეზე-რაშვილი აფინანსებს.

დავით ბაქრაძე 2008 წლი-დან 2012 წლამდე პარლამენტის თავმჯდომარის პოსტს იკავებდა და სრულად „აპრავებდა“ ნაცე-ბის „საგმირო“ საქმეებს. თუმცა განსაკუთრებულად დასამახსოვ-რებელი იყო მისი მიმართვა 2008 წლის აგვისტოს ომის დღეებში — დანა-ჩანგლებით გამოდით, ხალ-ხო და წინ აღუდექით რუსეთის აგრესიასო.

ბევრი მკითხაობა არ უნდა ამას, „გიგას დათოს“ ეშინოდა, რუსებს წ-ვერებით არ დაეკიდათ თავის პარლამენტიანად და ხალხს მოუწოდებდა დაზაფრული.

ახლა მისი მომხრეები ამბობენ, მოუგონეს, არ უთქვამს მსგავსი არაფერიო. ვიდეომიმართვაც გამ-ქრალია, თუმცა, აგერაა მამაჩემი, ცოცხალი მომსწრე, რომელიც, მახსოვს, გაკვირვებული ამბობდა: ეს კაცი ვახშამზე ხომ არ გვე-პატიჟება, რა დანა-ჩანგალი, რას ბოდიალობსო.

ეს იმ დროს, როცა ნაცების, გინდა ევრონაცების, გინდა აფ-რონაცების „უძლეველი“ მთავარ-სარდალი ტრიბუნით მირბოდა ცხინვალში, ოსებზე გამარჯვების ზეიმზე სიტყვით გამოსასვლელად.

ეს „გაწონასწორებული“ და უწყინარი ბაქრაძე ახლობლებში გიტარაზე დაკვრით და სიმღე-რით რომ არის სახელგანთქმუ-ლი, პოლიტიკურ ასპარეზზე თა-ვისი მოზრდილი თავი 2008 წლის მოვლენების დროს გამოიჩინა. იმ პერიოდში, პარლამენტის თავმჯ-დომარის სტატუსით, სახალხო მიმართვაში ამბობს: „რუსები შე-უტევენ ზუგდიდს და მოგიწოდებთ, ნებისმიერი საშუალებით წინააღმ-დეგობა გავუწიოთ მტერს!“ მერე დაიწყოთ „იზმენა“ — თბილისის-კენ მოიწევს მტერი, არიქა, დანები და ჩანგლებიო...

მამაჩემი კი ხუმრობდა მაშინ, მაგრამ ბაქრაძე და ნაცები არ ხუმრობდნენ — რა ევახშმებო-დათ, გამზადებული ჰქონდათ გუ-და-ნაბადი, წითელ ხიდზე იყვნენ გამწკრივებული გასაქცევად და ჩვენ მოგვიწოდებდნენ შეასკდით რუსის ჯარსო.

ვთქვათ და, მართლა გამოსუ-ლიყო ხალხი, რაც ნაცების ყვე-ლაზე დიდი მიზანი იყო, მაშინ და-იწყებოდა მშვიდობიანი ქართველი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტა რუ-სული ჯარის მიერ, რასაც მსოფ-ლიოში მოჰყვებოდა რუსეთის მიერ ქართველთა გენოციდზე აჟიოტაჟი და წამოვიდოდა კომპენსაციები, რაც ისევ მათ ჯიბეში ჰპოვებდა ნავსაყუდელს...

მოკლედ, ესენი ქართველების სიცოცხლის ხარჯზე მდიდრდე-ბოდნენ, რის გამოც არა მხოლოდ ავანტიურისტული ომი წამოიწყეს, არამედ, როგორც ამბობდნენ, ჯან-მრთელ ხალხს ხოცავდნენ და მათ ორგანოებს ყიდდნენ.

ახლა ირკვევა, რომ, მაშინ, როცა ბაქრაძე და პარლამენტის ნაცი წევრები ხალხს რუსეთის წინააღმდეგ სისხლისღვრისკენ მოუწოდებდნენ, სწორედ იმ პერი-ოდში თურმე თვითონ ფინანსური მაქინაციებით იყვნენ დაკავებული.

აღმოჩნდა, რომ აგვისტოს ომის პერიოდში დავით ბაქრაძემ და მისმა მეუღლემ მაკა მეტრე-ველმა უცხოური ბანკის HBDჩ ბანკის ანგარიშზე 276 000 გირ-ვანქა სტერლინგი, ანუ 800 000 ლარი გადარიცხეს.

2014 წელს საქართველოს პროკურატურამ ამ ფინანსურ მა-ქინაციაზე საქმე აღძრა, რადგან ბაქრაძის და მისი მეუღლის ქონებ-რივ დეკლარაციაში არ იყო მითი-თებული საიდან შეიძლებოდა მათ ჰქონოდათ მითითებული თანხა.

დაიწყო გამოძიება.

დავით ბაქრაძემ გამოძიები-სას შევარდნაძის პერიოდის მო-ხელეებისთვის დამახასიათებელ მეთოდს მიმართა: თანხა ჩემს სი-მამრს ეკუთვნოსო.

ამ ფაქტს ახალგაზრდა იურის-ტთა ასოციაცია ამბრაზურასავით გადაეფარა და სცადა, დავით ბაქ-რაძისთვის ჭუჭყიანი ცხვირი მო-ეწმინდა...

როგორც ვხედავთ, დავით ბაქ-რაძე იმის მაგივრად, რომ ახლა ციხეში იჯდეს, ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით გამოდის და აცხადებს, რომ ცუდსა და უარესს შორის არჩევანი კი არ უნდა გავაკეთოთ თურმე, არამედ, „ქართულ ოცნე-ბასა“ და „ევროპულ საქართვე-ლოს“ შორის „ევროპული საქარ-თველოს“ სასარგებლოდ...

ისევ გლახა დიაკვნის ალი-ლუიასავით გამომდის, მაგრამ რა ვქნა, უნდა გავიმეორო: ესეც შევარდნაძის ლეკვი იყო და მი-შამ, „გიგას დათო“, თავის დროზე ედიკას ნაფტალინიდან ამოიღო და მავნე წურბელასავით დაასვა თავ-ზე საქართველოს მოსახლეობას.

მტერი ალბათ, იცინის ახლა, ბაქრაძე რომ იძახის — ხუთ წუთ-ში გავზრდი პენსიას 50 ლარითო.

როგორ უნდა ენდო ახლა ამას, კაცს, რომელიც მისი სავიზიტო აფერისტული ღიმილით მიშას-თან ერთად პუტინს შეხვდა და მე-რე ამაყად აცხადებდა: ფრენების, ვაჭრობის, გზავნილების საკითხი რუსეთთან მოგვარდება და სიტუ-აციის დალაგებას მოვახერხებთ...

კარგით, რა, მართლა... ამას ხმას კი არა, მათხოვარი რომ იყ-ოს, ოც თეთრსაც არავინ მისცემს.

„ცრუქაქუნას“ ეძახიან გური-აში ბაქრაძისნაირ კაცს.

„ნაცმოძრაობაც“ ამნაირი ცრუქაქუნებით არის სავსე და წარმოიდგინეთ, როგორი გაკოტ-რებული უნდა იყოს, მაგალითად, გიგა ბოკერია, დავით ბაქრაძის ზურგს უკან რომ იმალება და ამ ხერხით ცდილობს თვითონ და მო-ღალატე ნაცები ქართველი ხალ-ხის კისრებზე შემოსკუპებას.

„ქართული ოცნების“ მხარ-დაჭერილმა კანდიდატმა რომ არ გაიმარჯვოს ამ არჩევნებში, რეა-ლურადაა მოსალოდნელი ნაცების კანდიდატების ვაშაძის ან ბაქრაძის გაპრეზიდენტება, რაც ავტომატურ-ად ნიშნავს ვანო მერაბიშვილის გათავისუფლებას, ბაჩო ახალაიას ციხიდან გამოშვებას, ადეიშვილის, თოფურიძის, ქარდავას, კეზერაშ-ვილის და სხვების დაბრუნებას. განავალში მჯდომი გვარამიას კვლავ გაპროკურორებას და ამა-თი ბელადის მიშა სააკაშვილის ზარზეიმით ჩამოდორბლებას სა-ქართველოში.

არც ისე ბრიყვები ვართ ისევ კრიმინალებს რომ მოგცეთ საპარ-პაშოდ საქართველო.

რამ გამახსენა და, „ევროპული საქართველოს“ წევრი ყბადანგ-რეული გივია თარგამაძე სადაა, ნეტა, რატომ არ ჩანს ამათ გვერ-დით?

სავარაუდოდ, ისიც ჩრდილ-შია გარკვეულ დრომდე, სანამ, მათი აზრით, გააპრეზიდენტებენ ან „ულვაშიან ტარაკანას“, ან ცრუქაქუნა „გიგის დათოს“.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ძლიერი რეგიონები

თეთრიწყაროელ

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში

● სოფელ კლდეისში სტიქიის შედეგად დაზიანებული საავტომობილო გზის მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს, რომელსაც ადგილზე გაეცნენ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ბერდია ხვისტანი და მერიის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები.

სოფელ კლდეისში მისასვლელი გზის მონაკვეთი სტიქიის შედეგად მრავალჯერ დაზიანდა და საფრთხეს უქმნიდა მგზავრთა გადაადგილებას. საავტომობილო გზის სირთულის გათვალისწინებით, 260 მ-იან მონაკვეთზე მიმდინარეობს ბეტონის საფარის დაგება და წყალამრიდი არხის მოწყობა.

სამუშაოების ღირებულება ხელშეკრულებით 98 028 ლარს შეადგენს.

● სოფელ ასურეთს სტუმრად ეწვია გერმანიის ასპერგის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი და ექსპერტი ნარჩენების მართვის საკითხებში ლუდვიგ სტრეფი, საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში ევანგელიურ-ლუთერანული ეკლესიის ეპისკოპოსი მარკუს შოხი და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენელი გოეც მარტინ-როზინი.

უცხოელ სტუმრებს შეხვდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები: თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერი გიორგი ქორიძე, მერის მოადგილე ბერდია ხვისტანი, თეთრიწყაროს განვითარების ფონდის ხელმძღვანელი ლევან ლაბახუა.

სტუმრებმა დაათვალიერეს სოფელი ასურეთი და იქ არსებული გერმანული მხატვრულ-არქიტექტურული ფასეულობის მქონე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები: ღვინის მარანი, ლუთერანული ეკლესია. ეწვივნენ აგრეთვე საოჯახო მარნებს, იმყოფებოდნენ გერმანელთა სასაფლაოზე.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა სტუმრებს გააცნეს ასურეთის განვითარების გეგმა, განიხილეს ასპერგის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტების დამეგობრებისა და სამომავლო თანამშრომლობის საკითხები.

გურჯაანის მუნიციპალიტეტში

● გურჯაანის ახტალის პარკში, უკვე მეორედ, „ღვინის ფესტივალი 2018“ გაიმართა, სადაც წარმოდგენილი იყო ქვევრში დაყენებული გლეხური ღვინო, დიდ და მცირე მარნებში წარმოებული 50-ზე მეტი სხვადასხვა ტიპის, ფერისა და ასაკის ღვინო, ჭაჭა და სხვა სასმელი.

ფესტივალზე გაიმართა ხელნაკეთი, შემოქმედებითი და თემატური ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, ეთნოგრაფიული ნიმუშების ექსპოზიციები... სპეციალურად ფესტივალისთვის შეიქმნა საშემოდგომო, ისტორიული და კულინარიული პავილიონები. სტუმრები თავად გახდნენ ყურძნის დაწურვისა და თათარაობის მონაწილენი.

დღის ბოლოს ნიაზ დიასამიძის და 33°-ს კონცერტი გაიმართა.

„გურჯაანის ღვინის ფესტივალი 2018“ ქართული ღვინის კვირეულის ფარგლებში გაიმართა, რომლის გენერალური სპონსორი იყო სს „m^2 უძრავი ქონება“, ხოლო მხარდამჭერები — საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, საქართველოს ღვინის ეროვნული სააგენტო და გურჯაანის მაჟორიტარი დეპუტატი დავით სონღულაშვილი.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან, ნუგზარ პაპიაშვილთან და გაზის ტრანსპორტირების კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად ქვემო ქედის ადმინისტრაციულ ერთეულში გაზიფიცირების სამუშაოები დაათვალიერა.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს ქვემო ქედი-არხილოსკალოს გაზიფიცირება, რომლის დასრულების შემდეგაც დაზიანებულ ასფალტის საფარს აღადგენენ. უკვე გამოვლენილია ტენდერში გამარჯვებული კომპანია და უახლოეს მომავალში სამუშაოები ზემო ქედსა და ცენტრალური მაგისტრალზეც დაიწყება.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში

● სოფელ გორაბერეჟოულში ცენტრალურ საავტომობილო გზაზე ასფალტბეტონის საფარი იგება. სამუშაო პროცესს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მინდია ჟღერია სოფლის ხელმძღვანელ პირთან ერთად გაეცნო.

პროექტს ახორციელებს შპს GEORGIAN BUILD.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურული სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.ქ. ლაგოდეხში, 9 აპრილის ქუჩაზე გზის სავალ ნაწილზე ასფალტბეტონის საფარი დაიგება. პროექტს რეგიონალური განვითარების ფონდი 294953 ლარით აფინანსებს.

● ქ. ლაგოდეხში, ამირან ცინცაძის ქუჩაზე, გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო. მუნიციპალიტეტის მერი ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან ერთად სამუშაოების მიმდინარეობას ადგილზე გაეცნო.

ცინცაძის ქუჩაზე დაიგება ასფალტბეტონის საფარი, რისთვისაც რეგიონალური განვითარების ფონდიდან 62 310 ლარია გამოყოფილი.

სიღნაღის მუნიციპალიტეტში

● სიღნაღში ევროპული სტანდარტების შესაბამისი სახანძრო-სამაშველო დეპო აშენდება. საქართველოს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ინფორმაციით, მშენებლობისთვის ადგილი უკვე შერჩეულია და სამშენებლო სამუშაოები უახლოეს პერიოდში დაიწყება.

უწყების ცნობით, სიღნაღის სახანძრო-სამაშველო დეპო ქალაქის ერთიან იერსახეზე იქნება მორგებული.

„მიუხედავად იმისა, რომ სახანძრო-სამაშველო დეპოები ყველა ქალაქშია, დღეისთვის დამატებითი საჭიროებაც არსებობს. ზოგიერთ მუნიციპალიტეტში გარკვეული სოფლები რაიონული ცენტრიდან, სადაც სახანძრო ტექნიკაა განთავსებული, 20–25 კილომეტრითაც კი არის დაშორებული, რაც საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების დროს ახანგრძლივებს. ამ ეტაპზე მუშავდება სპეციალური გეგმა, რომლის თანახმად, ქვეყნის ტერიტორია იმგვარად უნდა დაიფაროს, რომ მაქსიმალურად შემცირდეს საგანგებო სიტუაციისას სახანძრო მანქანის კონკრეტულ ადგილას მისვლის დრო“, — აღნიშნავს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს პრესსამსახურის უფროსი მიხეილ ფეიქრიშვილი.

მისივე ინფორმაციით, ახალი დეპოები, სადაც განთავსდება საზოგადოებრივი ცენტრები, სპორტული დარბაზები და საფეხბურთო მოედნები, ევროპულ სტანდარტებს დააკმაყოფილებს. დეპოები იქნება აღჭურვილი კომპიუტერებითა და ინტერნეტით. ახალ დეპოებში გაუმჯობესდება მეხანძრე-მაშველების სამუშაო პირობები.

დუშეთის მუნიციპალიტეტში

● დუშეთის „ჯეო ჰოსპიტალსის“ მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრის ინიციატივითა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით, ჭართლის ადმინისტრაციულ ერთეულში გაიმართა უფასო სამედიცინო აქცია. ადგილობრივ მოსახლეობას სამედიცინო მომსახურებას დუშეთის „ჯეო ჰოსპიტალსის“ სამედიცინო ცენტრის სხვადასხვა პროფილის ექიმები მთელი დღის განმავლობაში უწევდნენ. აქციით ისარგებლა 53-მა ადამიანმა, რომლებმაც მიიღეს ექიმების კონსულტაცია.

● დუშეთის რაიონის ინვალიდთა კავშირის ინიციატივითა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ თამაზ უნდილაშვილმა, მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, ჰუმანიტარული აქციის ფარგლებში, 15 დასახელების პირველადი მედიკამენტი გადასცა მჭადიჯვრის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ ამბულატორიას.

სენაკის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებს შეხვდა. სამუშაო შეხვედრას მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია და მერიის სხვა პასუხისმგებელი პირები ესწრებოდნენ.

მუნიციპალიტეტის მერმა მრჩეველთა საბჭოს გააცნო მიმდინარე წელს განხორციელებული და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული, სოციალური, საგანმანათლებლო და კულტურული პროექტები. ამასთან, მრჩეველთა საბჭოს წევრები მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვან სიახლეებს გაეცნენ. სხდომა დიალოგის რეჟიმში წარიმართა.

შეხვედრაზე განიხილეს 20 ოქტომბერს სახალხო დღესასწაულ„ ეგრისობაზე“ დაგეგმილი ღონისძიებები. სხდომაზე იმსჯელეს სენაკის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით.

● მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა, მერის პირველმა მოადგილემ გრიგოლ ბაღათურიამ, შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, ქალაქ სენაკში, აკაკი ელიავას ქუჩაზე დაათვალიერეს ტროტუარების სარეაბილიტაციო სამუშაო, რომლის ღირებულება 90 119 ლარს შეადგენს.

დედოფლისწყაროელ

ძლიერი საქართველოსთვის

ფოთი

ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში

● ფოთში დიდების მემორიალის კაპიტალური სარემონტო სამუშაოები დაიწყო.

პროექტით გათვალისწინებულია თვითონ მემორიალის სარემონტო სამუშაოები, ღობისა და ტროტუარის რეაბილიტაცია, ტერიტორიის კეთილმოწყობა, გარეგანათების სისტემის რეაბილიტაცია. სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში

● საჯარო სკოლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

დასრულებულ და მიმდინარე სამუშაოებს ახალაბასთუმნისა და ინგირის № 1 საჯარო სკოლებში მერიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის წარმომადგენლები გაეცნენ.

ახალაბასთუმნის საჯარო სკოლაში ორი საკლასო ოთახის რეაბილიტაცია დასრულდა, ინგირის № 1 საჯარო სკოლაში კი სპორტული დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

სკოლების რეაბილიტაციაზე 138 000 ლარი იხარჯება.

● მუნიციპალიტეტის მერია აგრძელებს მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების მქონე ოჯახებისთვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობის პროექტს. მერია მიმდინარე წელს 25 სახლს ააშენებს. სახლების მშენებლობის პროცესი უკვე დაწყებულია.

პროექტში ჩართულია 400-ზე მეტი ბენეფიციარი, მათ შორის 183 ბავშვი, 25 შშმ პირი, 9 მარჩენალდაკარგული, 9 მრავალშვილიანი და 3 მარტოხელა დედა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში 2015–2016–2017 წლებში 66 სახლი აშენდა.

სოციალური სახლების მშენებლობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ექსკლუზიური პროექტია, რისთვისაც მუნიციპალიტეტს 2015 წელს სპეციალური ჯილდო გადაეცა.

სოციალური სახლის მშენებლობის მიმდინარეობას კოკის ადმინისტრაციულ ერთეულში, ზუგდიდში, საერთაშორისო პროექტის — „ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ადგილობრივი თვითმმართველობა“ — მონაწილეთა ჯგუფის წარმომადგენლები გაეცნენ. ჯგუფის შემადგენლობაში შედიან შვედეთის, სერბეთის, სხვადასხვა მუნიციპალიტეტისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

ჯგუფის წევრებმა მშენებარე სახლთან ერთად შარშან აშენებული სახლიც დაათვალიერეს და პროექტით დაინტერესდნენ.

● ზუგდიდის მერია სოფლებში მცხოვრებ სოციალურად შეჭირვებულ ოჯახებს 40 000 ლარამდე ღირებულების საკვებ პროდუქტს დაურიგებს. შესაბამისი ტენდერები მუნიციპალიტეტის მერიამ გასულ კვირას გამოაცხადა. 413 ოჯახს ზამთრისთვის 10 კგ შაქარს, 5 კგ მაკარონს, 25 კგ ფქვილს, 5 ლ. ზეთს, 10 კგ კარტოფილსა და ამავე რაოდენობით ხახვს დაურიგებს.

მარტვილის მუნიციპალიტეტში

● ქალაქ მარტვილში შიდასაავტომობილო გზებზე ასფალტბეტონის საფარი იგება. პროექტის ფარგლებში იგეგმება თბილისის, შეროზიას და დადიანის ქუჩების რეაბილიტაცია, ჯამში დაიგება 1464 მეტრი საფარი.

თბილისის ქუჩაზე მიმდინარე სამუშაოებს მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე დავით სურმავა მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის თანამშრომლებთან ერთად გაეცნო.

პროექტის ღირებულება 351303 ლარს შეადგენს. სამუშაოები საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დაფინანსებით ხორციელდება.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ვალერი თოდუა სოფელ კირცხში სამედიცინო გამოკვლევების მიმდინარეობას გაეცნო. მოსახლეობისთვის უფასო სამედიცინო გამოკვლევები საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებამ განახორციელა. ადგილობრივებს სხვადასხვა პროფილის მოწვეული ექიმები ემსახურებოდნენ.

აქციის მხარდამჭერია მუნიციპალიტეტის მერია, ხოლო ინიციატორი — საქართველოს წითელი ჯვრის ჩხოროწყუს ფილიალი.

ჩხოროწყუს მერია და წითელი ჯვრის საზოგადოება ერთობლივი პროგრამის ფარგლებში მჭიდროდ თანამშრომლობენ ჰუმანიტარული საქმიანობისა და კატასტროფების მართვის სფეროში, კერძოდ — ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულებით.

სამედიცინო გამოკვლევები გაიმართა აგრეთვე სოფელ ჭოღაში და სოფელ ნაფიჩხოვოში.

ბოლნისის მუნიციპალიტეტში

● ქალაქ ბოლნისში მცხოვრებ გიორგი ხვიბლიანს წვიმიანი ამინდის აღარ ეშინია, რადგან წლების განმავლობაში დაზიანებული სახლის სახურავი ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით შეიცვალა. გიორგის მსგავსად პრობლემა ამ დრომდე უკვე 23 ოჯახს მოუგვარდა.

ელისო მენაბდიშვილის ნატვრაც რეალობად იქცა. სახლი, სადაც მრავალი წელია ცხოვრობს, ავარიული იყო. დაზიანებულმა სახურავმა პრობლემა კედლებსა და იატაკსაც შეუქმნა. როგორც ქალბატონი გვიყვება, სახლში ღამის გათენების აღარ ეშინია და არც წვიმასთან გამკლავება უწევს, მისი სახლიც რამდენიმე თვის წინ გადაიხურა.

სახურავის პრობლემა ნაზი ქვარცხავასაც მოუგვარდა, რის შემდგომაც ოჯახის დიასახლისმა, საკუთარი სახსრებით, საცხოვრებელ ფართში სხვა პრობლემების მოგვარება დაიწყო.

გაჭირვებაში ცხოვრება უწევდა მარტოხელა პენსიონერ თამარ ხუციშვილს, რომელსაც მეუღლე ახალგაზრდობაში გარდაეცვალა. გერმანული სტილით ნაგები სახლი მოძველდა და მწყობრიდან გამოვიდა სახურავიც. ძველი კრამიტი ახალმა, თუნუქის სახურავმა ჩაანაცვლა.

გარდა ქალაქისა, სახურავების პრობლემები სოფლებშიც გვარდება. მუნიციპალიტეტში შექმნილი კომისია მოქალაქეების განცხადებების საფუძველზე იკვლევს ოჯახების მდგომარეობას და ვისი სოციალური პირობებიც უკიდურესად მძიმეა, მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებით, ინფრასტრუქტურული პრობლემები უგვარდება.

2015–2016 წლებში 25-მდე კერძო სახლი შერემონტდა, 2018 წლის ბოლომდე კი 48 ოჯახს გაეწევა დახმარება და მათს საცხოვრებელ სახლებს სახურავის პრობლემა მოუგვარდება“...

მაგდა დევნოზაშვილი,
გაზეთი „ბოლნისი NEWS“



მარტვილი

დმანისის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის მერი გიორგი ტატუაშვილი, ქვემო ქართლის გუბერნატორ, შოთა რეხვიაშვილსა და მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელი პირებთან ერთად, საქართველო-ლატვიის რეგიონების ეკონომიკურ ფორუმს დაესწრო.

ღონისძიება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, სავაჭრო-სამრეწველო პალატის, მცხეთა-მთიანეთის სამხარეო ადმინისტრაციის ორგანიზებითა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) თანადაფინანსებით გაიმართა.

შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება რეგიონების განვითარების შესახებ, ისაუბრეს საინვესტიციო პოტენციალზე და არსებული ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით კონკრეტული წინადადებები განიხილეს.

მარნეულის მუნიციპალიტეტში

● სოფელ წერეთლის ადმინისტრაციულ ერთეულში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელების მიზნით მიმდინარე სამუშაოები მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა ზაურ ტაბატაძემ, საკრებულოს თავმჯდომარემ ამირან გიორგაძემ და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მამუკა ნავერიანმა, მერიისა და საკრებულოს სხვა ხელმძღვანელ პირებთან ერთად, კაჩაგანის ადმინისტრაციულ ერთეულში დასრულებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები დაათვალიერეს.

სოფელში დასრულებულია 1600 გრძივი მეტრი სიგრძის გზის რეაბილიტაცია და აქტიურად მიმდინარეობს ხელოვნურსაფრიანი კომბინირებული მინი საფეხბურთო მოედნის მოწყობის სამუშაოები, რომლის სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 79 450 ლარს.

საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტისთვის რეგიონალური განვითარების ფონდიდან სამუშაოების ღირებულების 95 პროცენტი დაფინანსდა, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება 5 პროცენტია.

ფრანკფურტის პარადოქსები

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე სტუმრის სტატუსით მიწვეულ საქართველოს დელეგაციაში იმდენი ნაციონალი და ნაციონალების მიერ მწერლებად, პოეტებად, ზოგადად, ხელოვნების მუშაკებად დანიშნული იმდენი ტიპი ვიხილე, გულმა მიგრძნო, აქ აუცილებლად საკაშვილიც გამოჩნდება-მეთქი.

ისე თქვენ აგიხდეთ ყველაფერი კარგი, როგორც მე ეს წინათგრძნობა ამიხდა — საკაშვილიც გამოჩნდა და დამატებად კულტურის ყოფილი მინისტრი ნიკა რურუაც თან მოჰყვა, რითაც, როგორც იტყვიან, კომპოზიცია შეიკრა.

— ვინ დაპატიჟა ეს მსჯავრდებული კაცი იქ და რა სტატუსით ესწრება ამ ღონისძიებასო? — იკითხა ქართული საზოგადოების ერთმა ნაწილმა, მაგრამ კითხვა უპასუხოდ დარჩა, თუმცა ამ პასუხგაუცემელ კითხვას „რუსთავი-2“-თან ინტერვიუში, ნაწილობრივ, თავად საკაშვილმა

გასცა პასუხი: — ეს ყველაფერი, რაც აქ ხდება. ჩვენი პროექტია, ქართული ანბანის 33 ასო-ნიშანზე აგებული კონცეფციაც ნიკა რურუას ეკუთვნისო.

ბოდიში, თქვენ ყოფილხართ, ბატონებო, ყველაფერი...

კი, მაგრამ, თუ თქვენ ხართ ყველაფერი, ესენი ვინღა არიან, ხელისუფლების წარმომადგენლების სტატუსით რომ დაეხეტებიან ამ თქვენს მიერ მოხატულ-მოჩუქურთმებულ-მოვარაყებულ პავილიონებში?

— ვინ არიან და საქართველოს ეგრეთ წოდებული ხელისუფლება, რომელსაც ერთი სიტყვაც კი არ დასცდენია იმის შესახებ, რომ საქართველო ოკუპირებულია, ხარატიშვილს რომ არ ეთქვა ეს, მთელი ეს ღონისძიება ისე ჩაივლიდა, ვერავინ გაიგებდა, რა დღეშიც ვართო, — ზუსტ ციტირებას ვერ ვახდენთ, მაგრამ საკაშვილის განცხადების შინაარსის შენარჩუნებულია.

ხარატიშვილი ვინ არის?

ხარატიშვილი დრამატურგი ყოფილა თურმე...

— საქართველო ამ ეგრეთ წოდებული ხელისუფლების მიერ გაღატაკებული და გაუბედურებულია, მაგრამ ამ ბრწყინვალებას, რაც აქ არის, ჯერჯერობით ვერ მოერივნენო, — თქვა საკაშვილმა.

რა აიჩემა ამ კაცმა ეს ეგრეთ წოდებული ხელისუფლება, რისი თქმა უნდა ამით? იმის ხომ არა, ეს „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ხალხს კი არ აურჩევია, ის თვითმარქვიაა, რომელმაც ძალად მიიტაცა ძალაუფლებაო?

ეტყობა, გრიშას (ვაშაძეს) მიშამ ასწავლა, ასე და ასე თქვიო და ისიც გაზეპირებულივით იმეორებს — საქართველოს ეგრეთ წოდებული ხელისუფლებაო.

თქვენ საკუთარ თავში ხომ არ გეშლებათ „ქართული ოცნება“, პატივცემულო ნაცებო?

ეგრეთ წოდებული თუ ვინმეა, სწორედ რომ თქვენ ხართ, თქვენ, ვინც 2003 წელს სახელმწიფო გადატრიალების გზით მოხვედით ხელისუფლებაში, ოღონდ ამ გადატრიალებას პოეტური და რომანტიკული სახელი დაარქვით — „ვარდების რევოლუცია“, თითქოს მხოლოდ ვარდები გეჭირათ ხელში და ამ დროს კი ტყვიაგაუმტარი ჟილეტის ქვეშ „ფიშტოები“ და ავტომატები გქონდათ მოყუჩებული.

საკაშვილმა ფრანკფურტში თავი შეიკავა და არ თქვა, რომ არა მარტო პავილიონებში გამოფენილი ეს ბრწყინვალება, არამედ მთლიანად ქართული სახელმწიფო მან შექმნა, რომ ის არის დავით, უკაცრავად, მიხეილ აღმაშენებელი, რომელმაც ქართული სახელმწიფო აღაშენა და აღაყვავა, რომ ის არის სტრატეგოსი და უძლეველი მთავარსარდალი, რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ 2008 წლის აგვისტოში ქვეყნის ტერიტორიის 20% დაკარგა, ეს ომი მაინც „მოიგო“ და გამარჯვება ცეკვა-თამაშით და დიდი მხიარულებით აღნიშნა.

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე მისულ გერმანელს, ინგლისელს თუ ფრანგს, რომელსაც შეიძლებოდა არ სცოდნოდა, რომ 2012 წელს „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა, საქართველოს დელეგაციის ხილვისას შეიძლებოდა ჰგონებოდა, რომ საქართველოში კვლავ „ნაცმოძრაობაა“ ხელისუფლების სათავეში, პრეზიდენტი კვლავ საკაშვილია, კულტურის მინისტრი ნიკა რურუაა, „ნაცმოძრაობის“ მიერ აღზევებულ ეგრეთ წოდებულ მწერალთა და ხელოვანთა „სასტავიც“ იგივეა, რომელსაც მხოლოდ ერთი „ახალბედა“ ავტორი ბესიკ ხარანაული დაემატა.

დიახ, ფრანკფურტში სტუმრად მიწვეულ დელეგაციაში ხატია ბუნიათიშვილის მოშიშვლებული ძუძუებით დაწყებული, ლაშა ბუღაძის თვალების ბრიალით და საკაშვილ-რურუათი დამთავრებული, ყველაფერი ისე იყო, როგორც ამ ექვსი თუ შვიდი წლის წინანდელ საქართველოში!

საქართველო რომ დიდი კულტურის ქვეყანაა, საქართველო რომ დიდი მწერლობის ქვეყანაა, საქართველო რომ დიდი ხელოვნების ქვეყანაა, საქართველო რომ უძველესი დამწერლობის ქვეყანაა, ამის წარმოჩენა თუნდაც ძალიან მაღალ დონეზე, არც საკაშვილის დამსახურებაა, არც რურუასი, არც გიორგაძის და თქვენ წარმოიდგინეთ, არც დეა მეტრეველის, რადგან ის უბრწყინვალესი საუნჯე, რაც ერს დაუგროვებია თავისი არსებობის მანძილზე, თვითონ მეტყველებს თავის თავზე, თვითონ წარმოაჩენს თავის უნიკალურ ფენომენს, მაგრამ, როცა ამ თვალ-მარგალიტს „ნაცმოძრაობის“, სოროსის თუ სხვა საეჭვო ღირებულებების ფონდების მიერ დაფინანსებულ ყალბ თვლებს მოაყრი სამშვენისად, აქაოდა, აი, ეს არის ჩვენი თანამედროვე მწერლობის საუკეთესო ნიმუშებიო, ეს უკვე დანაშაულია.

ვინ შეარჩია ეს წიგნები, ვინ შეარჩია ეს თანამედროვე ავტორები ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე წარსადგენად, ვინ შეარჩია და რა ნიშნით, რა კრიტერიუმით, როცა ფრანკფურტში წარდგენილ ავტორთა მნიშვნელოვანი ნაწილი საერთოდ უცნობია ქართველი მკითხველი საზოგადოებისთვის.

უცნაური ტენდენცია მკვიდრდება ბოლო ხანებში — ვიღაც-ვიღაცებს ჰგონიათ, თუ იჩალიჩებენ და მათ ნაცოდვილარს რომელიმე უცხო ენაზე ათარგმნინებენ, ეს მათ მდარე ნაღვაწს ხარისხს და წონას შეჰმატებს.

ჯერ სამშობლოში უნდა გიცნობდნენ მწერლად თუ პოეტად, სამშობლოში უნდა გაფასებდნენ და გაღიარებდნენ, თორემ გერმანულად, ინგლისურად, ფრანგულად თუ იტალიურად გადაღებული უნიჭობა მაინც უნიჭობად რჩება.

მწერალთა კავშირში ნიკოლაი ზაბოლოცკი, რომელიც უნიჭიერესი პოეტი და მთარგმნელი იყო, ერთი ქართველი პოეტის ლექსების თარგმანებს კითხულობს.

გალაკტიონმა უსმინა, უსმინა და ბოლოს წამოიძახა: შესანიშნავია, ბრწყინვალეა! ახლა დაუყოვნებლივ ვთარგმნოთ რუსულიდან ქართულად ეს ლექსები და პოეტი ესა და ეს გენიალური პოეტი იქნებაო.

ჩვენც ასე ხომ არ მოვიქცეთ და ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე წარსადგენად გერმანულ ენაზე თარგმნილი თანამედროვე ქართველი ავტორების ერთი ნაწილის „შემოქმედება“ გერმანულიდან ქართულად ხომ არ გადმოვთარგმნოთ?

ფრანკფურტში ქართველთა სტუმრობა ფრანკფურტის მერიის ულამაზეს დარბაზში „საბას“ ახალი ლაურეატების დაჯილდოების ცერემონიალით „დაგვირგვინდა“.

„საბას“ პრემია, უკვე მესამედ თუ მეოთხედ, ცხადია, ლაშა ბუღაძეს მიენიჭა.

სიმართლე გითხრათ, ესეც წინასწარ ვიცოდი — ფრანკფურტში ასეთ მნიშვნელოვან ღონისძიებაზე „საბას“ პრემია სხვა ვისთვის უნდა გადაეცათ თუ არა ლაშა ბუღაძისთვის?

ლაშა ბუღაძემ, ისარგებლა რა შემთხვევით, თავისი ქვეყანა საქართველო, კიდევ ერთხელ დააბეზღა საერთაშორისო აუდიტორიის წინაშე და ის მოძალადე, ნახევრად ველურ ქვეყნად წარმოაჩინა, სადაც პოეტებს, მათ შორის ისეთ დიიდ პოეტებს, როგორებიც არიან ზურაბ რთველიაშვილი და ზურაბ რატიანი, სცემენ, ავიწროებენ და, ისინიც იძულებულნი არიან, ქვეყნიდან გაქცევით უშველონ თავს.

დაგაფსით თავზე და ჩაგისვარეთ დღესასწაულში — ჰქვია იმას, რაც თავის დროზე თამარ მეფის ხსოვნის შეურაცხმყოფელმა ბუღაძემ გააკეთა.

დაგაფსით თავზე ჰქვია იმას, რაც მსჯავრდებულმა საკაშვილმა მოიმოქმედა, რომელიც, იმის ნაცვლად, რომ ციხეში იჯდეს და სასჯელს იხდიდეს, მთელ მსოფლიოში დაეხეტება და ქართულ მართლმსაჯულებას და ქართულ სახელმწიფოს სამი თითის კომბინაციას აჩვენებს.

სამწუხაროა, რომ ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაც კი ნაციონალებმა თავიანთი პოლიტიკური ინტერესების რეკლამირებისთვის გამოიყენეს...

ვახტანგ ხარჩილავა

„ანტიქრისტეს“ და „შექანებულების“ ომი გრძელდება

მსოფლიოს საზოგადოების შეშფოთება გამოიწვია გასულ კვირას გავრცელებულმა ინფორმაციამ — თურქეთში უკვალოდ გაუჩინარდა საუდის არაბეთის ჟურნალისტი ჯამალ ჰაშ-აუდი. უფრო მეტიც, თურქეთის მხარის მტკიცებით, იგი მოკლულია. არაბი ჟურნალისტი „ვაშინგტონ პოსტის“ რედაქციასთან თანამშრომლობდა. იგი თავისი ქვეყნის ხელისუფლების კრიტიკით გამოირჩეოდა. ამის გამო ემუქრებოდნენ და იძულებული გახდა, 2016 წლიდან თურქეთში ეპოვა თავშესაფარი. იგი ქალაქ იზმირში ცხოვრობდა.

ჟურნალისტი საუდის არაბეთის საკონსულოში, რომელიც სტამბულის ცენტრში, ერთ-ერთ უმდიდრეს უბანში მდებარეობს, პირადი საკითხების მოსაგვარებლად შევიდა. აქვე სათქმელია, რომ ახლობლები ურჩევდნენ, საკონსულოში თვითონ არ შესულიყო. ჰაშ-აუდს დაუსწრებლად უნდა გაეფორმებინა არაბ მეუღლესთან განქორწინება, რათა თურქეთში ხელახლა ექორწინა. თურქეთის მხარის მტკიცებით, საკონსულოსთან არსებულმა ვიდეოკამერებმა ჟურნალისტის საკონსულოში შესვლა დააფიქსირეს, გამოსვლა — არა. გარეთ თურქი საცოლე ელოდებოდა. საკონსულოში შესვლამდე ჟურნალისტმა „ჭკვიანი საათის“ აიფონთან სინქრონიზაცია განახორციელა. ამასთან, მომავალ მეუღლეს ორი ტელეფონის ნომერიც დაუტოვა, იმ შემთხვევაში, თუ ოთხი საათის შემდეგ არ გამოვიდოდა, ეცნობებინა აბონენტებისთვის. 11-საათიანი ლოდინის შემდეგ ჟურნალისტის საცოლემ განგაში ატეხა.

თურქეთის მხარის ინფორმაციით, ჰაშ-აუდი გაუჩინარებამდე ოთხი დღით ადრეც იყო შესული საკონსულოში. იგი თავაზიანადაც მიიღეს. ბიუროკრატიული ბარიერების გამო დრო გვჭირდებაო, უთხრეს და საბუთების მისაღებად ოთხი დღის შემდეგ დაიბარეს. დანიშნულ ვადამდე ერთი დღით ადრე ელ რიადიდან სტამბულში ორი კერძო თვითმფრინავი დაეშვა. მგზავრებისთვის ერთ-ერთ სასტუმროში უკვე ჰქონდათ ადგილები დაჯავშნული. ჟურნალისტის საკონსულოში შესვლიდან 50 წუთში დიპლომატიურ მისიაში დაიწყო საეჭვო მიმოსვლა. თურქეთის მხარე ამტკიცებს, რომ ჰაშ-აუდი საუდის არაბეთიდან სპეციალურად ჩამოყვანილმა პირებმა მოკლეს, ქირურგიული ხერხით დაანაწევრეს და ყუთებით, დაბურულმინიანი შავი მანქანებით გაიტანეს საკონსულოს ტერიტორიიდან. მათი განცხადებითვე, აქვთ ვიდეოჩანაწერები, რომლებიც „ჭკვიანი საათის“ მეშვეობით მიიღეს, რითიც მტკიცდება ჟურნალისტის მკვლელობა. დეტალებს, დაწვრილებით, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ჯერ არ ასაჯაროებენ, მაგრამ ამბობენ, ნაწამები ჟურნალისტის განწირული ყვირილი ისმისო.

არაბი ჟურნალისტის გაუჩინარების ინფორმაციის მიღებისთანავე, თურქეთის ხელისუფლებამ კატეგორიულად მოსთხოვა საუდის არაბეთს, საკონსულოში შეეშვათ ადგილობრივი სამართალდამცავები. თუმცა უშედეგოდ. გასული კვირის მიწურულს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუდ ჩაუშოღლუმ საუდის არაბეთს კვლავ მოუწოდა, თანამშრომლობისკენ, რათა გაირკვეს ბურუსით მოცული საქმე. მის აზრს იზიარებენ ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრები და კატეგორიულად ითხოვენ, დაუშვან თურქი სამართალდამცავები საკონსულოში და ობიექტურად გამოიძიონ ჟურნალისტის გაუჩინარება.

მსოფლიოს დიპლომატიური საზოგადოებისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში აშშ-ის მუდმივი წარმომადგენლის ნიკი ჰეილის განცხადება თანამდებობიდან წასვლის შესახებ. იგი გაეროში ტრამპის ინაუგურაციის შემდეგ დაინიშნა. ნიკი ჰეილი ტრამპის ადმინისტრაციაში საკმაოდ მაღალი რეიტინგით გამოირჩეოდა. მას ჩაცმის სტილსაც უქებენ. დონალდ ტრამპმა ნებისმიერი თანამდებობა შესთავაზა, მაგრამ ნიკი ჰეილიმ უარი თქვა. ერთობლივ პრესკონფერენციაზე დონალდ ტრამპი ჰეილის წასვლით აშკარად გულდაწყვეტილი იყო. ტრამპის გარდა, მისი გადადგომით კოლეგა დიპლომატები, მათ შორის, რუსებიც, გულდაწყვეტილები არიან. ნიკი ჰეილის ყოველმხრივ დადებითად ახასიათებენ. იგი მხოლოდ ხელფასით ცხოვრობს. ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ჰეილის ახლო ურთიერთობა ჰქონდა მსოფლიო დიპლომატიის კორიფესთან ჰენრი კისინჯერთან. ისინი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს და ფინჯან ჩაიზე საუბრობდნენ. რა გახდა ნიკი ჰეილის გადადგომის მიზეზი, უცნობია. ამერიკელი მიმომხილველების აზრით, ჰეილი სახელმწიფო მდივან მაიკლ პომპეოსა და ტრამპის თანაშემწეს ჯონ ბოლტონს ვერ შეეწყო განსხვავებული პოზიციების გამო. იმასაც ამბობენ, ნიკი ჰეილის გადადგომა მისი კარიერის დასასრულს არ ნიშნავს, მას დიდი მომავალი აქვსო. იგი იანვრის ბოლომდე გააგრძელებს მუშაობას.

ჰილარი კლინტონმა დაარღვია დუმილი და კვლავ შეუტია ტრამპს. თუმცა თავის სატელევიზიო გამოსვლაში ახალი არაფერი უთქვამს, მხოლოდ ის გაიმეორა, რასაც წინასაარჩევნოდ ამბობდა: არჩევნებამდე ქალებს უდიერად ახსენებდა და ახლაც ასე აგრძელებსო. დონალდ ტრამპს კლინტონისთვის ჯერ არ უპასუხია. იგი შუალედური არჩევნებით არის დაკავებული. როგორც თავისი წინასაარჩევნო კამპანიის დროს, ახლაც პირადად ხვდება ამომრჩევლებს სხვადასხვა შტატებში. ერთ-ერთ გამოსვლაში დემოკრატებს ქვეყნის დამღუპველები უწოდა და „შექანებულები არიანო“, თქვა.

დონალდ ტრამპის „მოსისხლე მტერი“, მილიარდერი კორჯ სოროსი აშშ-ში ანტიქრისტედ შერაცხეს პრეზიდენტის მომხრეებმა. სოროსი არც მალავს, რომ მისი მთავარი მიზანი ტრამპის გადაყენებაა. „...ტრამპი თავისი ადმინისტრაციიანად ხიფათის მომტანია აშშ-სთვის და მთელი მსოფლიოსთვის. თუმცა პრეზიდენტად დიდი ხანი არ იქნება“, — განაცხადა მილიარდერმა. საპასუხოდ ტრამპის მომხრეებმა სოროსის ანგარიშების გაყინვა და მისი ქვეყნიდან გაძევების მოთხოვნა წამოაყენეს. თვითმხილველების თქმით, ტრამპის საწინააღმდეგო აქციებს სოროსი აფინანსებდა. დაქირავებულებს პირდაპირ ქუჩაში ურიგებდნენ ფულს, 30 დოლარს და „შპარგალკებს“, როდის რა ეყვირათ. მათივე გადმოცემით, სოროსი აქტიურად აფინანსებს ტრამპის მოწინააღმდეგე პოლიტიკოსებს. სოროსის ე.წ. „ღია საზოგადოებები“ აკნინებენ ამერიკულ ფასეულობებს, ახალისებენ ყველანაირ უკუღმართობას. მოაწყობს თუ არა სოროსი აშშ-ში „ფერად რევოლუციას“, თუ ტრამპი იმარჯვებს, გამოჩნდება.

პატიმრობიდან გათავისუფლებული პასტორი, რომელიც 2016 წლიდან იყო დაკავებული, უკვე ჩავიდა თურქეთიდან აშშ-ში. იგი თეთრ სახლში უკვე შეხვდა დონალდ ტრამპს და მისთვის ილოცა კიდეც. კმაყოფილმა ტრამპმა განაცხადა, რომ პასტორის გათავისუფლებაში მისი ადმინისტრაცია არ ჩარეულა, თავად თურქებმა მიიღეს გადაწყვეტილებაო. ტრამპის თქმით, ეს ადასტურებს თურქეთის სასამართლოს დამოუკიდებლობას. „...ახლა ამ ქვეყანასთან საუკეთესო ურთიერთობა გვექნებაო“, — განაცხადა პრეზიდენტმა. აღსანიშნავია, რომ ტრამპი ჩინეთთანაც აანონსებდა საუკეთესო ურთიერობას. სავაჭრო ომის გარდა, ტრამპის ადმინისტრაციამ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტსაც მიმართა, ჩინეთს ჩამოართვან მომავალი ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობის უფლება, თუმცა სოკ-ს პასუხი ჯერ არ გაუცია.

სირიის ხელისუფლებამ აშშ დაადანაშაულა იდლიბზე საჰაერო შეტევის დროს თეთრი ფოსფორის გამოყენებაში, რომელიც მსოფლიოში აკრძალულია. აშშ-ის ადმინისტრაციას არ უარყვია თეთრი ფოსფორის გამოყენება და განაცხადეს, უკანონოდ არ გვიმოქმედიაო. იქვე დასძინეს, რომ ანგარიშვალდებული არავის წინაშე არ არიან და ისე იმოქმედებენ, როგორც საჭიროდ ჩათვლიან. ამერიკულ პრესაში კი გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პენტაგონში განიხილავენ ჩინეთსა და რუსეთზე ერთდროულად შეტევის სცენარს. თუმცა, სამხედრო ექსპერტები მოვლენების მსგავს განვითარებას სამყაროსთვის დამღუპველად მიიჩნევენ. მსოფლიოში კი დენთის სუნი სულ უფრო მძაფრად იგრძნობა.

გია ბურდული
551 71 27 07

ვინ იყო ქალი, რომელიც ქურდული სამყაროს დედოფლად აღიარეს?

ქალი, რომლის ცხოვრება ბურუსითაა მოცული, მე-19 საუკუნეში ქურდული სამყაროს დედოფლად იყო აღიარებული. ქურდი, გარდასახვის საოცარი უნარით, სამართალდამცავებს ყოველთვის უსხლტებოდა ხელიდან, თუმცა უპასუხო გრძნობამ საბედისწერო შეცდომა დააშვებინა...

მისი ნამდვილი სახელი სურა სოლომონიაკი გახლდათ. ოჯახში, სადაც ქურდული სამყაროს მომავალი დედოფალი დაიბადა, მოპარული ნივთების გასაღება, კონტრაბანდა და ყალბი ფულის დამზადება ცხოვრების წესი იყო.

სონკა 18 წლის იყო, როცა ვარშავაში, ვინმე როზენბადს ცოლად გაჰყვა, მაგრამ შვილის გაჩენისთანავე ქმარი მიატოვა და გამომშვიდობებისას პირწმინდად გაძარცვა. ამის შემდეგ რუსეთში დაბრუნდა, სადაც მისი თავბრუდამხვევი ქურდული კარიერა დაიწყო.

ამბობენ, რომ ის სუსტებს არასოდეს ჩაგრავდა, თუმცა მდიდარი ვაჭრების და ბანკირების ძარცვაში ცუდს ვერაფერს ხედავდა. მესამე კლასის ვაგონებში წვრილმანი ქურდობიდან დაიწყო და ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის ხელმძღვანელი გახდა, რომელიც 1860–70-იან წლებში რუსეთის უდიდეს ქალაქებსა და ევროპას შიშის ზარს სცემდა.

საოცარი ნიჭიერების, გარდასახვის უნარისა და ფანტაზიის წყალობით, მისი ყოველი თაღლითობა საზოგადოებისთვის სენსაცია ხდებოდა. რამდენჯერმე გისოსებს მიღმაც აღმოჩნდა, თუმცა თავი ადვილად დაიძვრინა.

1868 წელს სონკა მოხუც, მდიდარ ებრაელს შელომ შკოლნიკს ცოლად გაჰყვა. როგორც კი ქმრის ფული ბოლომდე გაანიავა, სონკამ შკოლნიკი მიატოვა და ბანქოს შულერს აეკიდა, რომელიც მალე მატარებლების ქურდზე მიხეილ ბლიუვშტეინზე გაცვალა.

ქურდებმა მეტსახელი „ოქროსხელება სონკა“ მოქნილი, ყოვლისშემძლე თითებისა და იღბლიანობის გამო შეარქვეს. გრძელი ფრჩხილების ქვეშ ქალი საიუველირო მაღაზიებიდან მოპარულ ბრილიანტებს მალავდა. გრძელი, ფართხუნა კაბის დახმარებით კი ქსოვილების მაღაზიებიდან უძვირფასები ქსოვილები გამოჰქონდა.

დაბალი, გამხდარი სონკა მზეთუნახავი არ ყოფილა, თუმცა მამაკაცებში უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა. ქალი, რომელსაც სკოლაში არასოდეს უსწავლია, ხუთ ენაზე თავისუფლად საუბრობდა. ევროპაში მოგზაურობის დროს ის თავს ხან გრაფინიად, ხან ბარონესად აცნობდა და მის სიტყვებში ეჭვი არავის ეპარებოდა.

1866 წელს პოლიციამ „ოქროსხელება“ ჩემოდნის მოპარვის ბრალდებით დააკავა, თუმცა ქალმა ადვილად დაარწმუნა, რომ ჩემოდანი შეცდომით აიღო. სწორედ ამ პერიოდში სონკამ პეტერბურგში ბანდიტური დაჯგუფების შექმნა დაიწყო და ამ საქმეში ცნობილი ქურდი, ლევიტა სანდანოვიჩი ჩართო. ის ოდესასა და ლონდონში არასრულწლოვანი ქურდების „სკოლების“ შექმნაზე ზრუნავდა და ამბობენ, რომ ქურდული „ობშიაკის“ შექმნისა და გაჭირვებაში ჩავარდნილი კრიმინალების დახმარების იდეაც მას ეკუთვნის.

„ოქროსხელება“ ყოველთვის მარტო მუშაობდა. საქმეს საგულდაგულოდ გეგმავდა და ასევე, გულმოდგინედ ახორციელებდა. მან მსხვერპლის სექსზე დაყოლიების გზით, ქურდობის ახალი მეთოდი, სახელად „ხიპესი“ შექმნა, რომელიც თითქმის ყოველთვის ამართლებდა — ფულიანი, მექალთანე მამაკაცები ძვირად ღირებულ ბეწვის ქურქში გამოწყობილ და ბრილიანტებით დამშვენებულ ლამაზ ქალს სასტუმროს ნომერში მორჩილად მიჰყვებოდნენ და სანამ მასთან ლოგინში ნებივრობდნენ, სონკას თანამზრახველი ჯიბეებს და საფულეს უსუფთავებდა.

„ოქროსხელება“ ქალის ცხოვრების არსი ფული, ვნება და ძალაუფლების სურვილი გახლდათ და რომ არა მოულოდნელად თავს დამტყდარი სიყვარული, არავინ იცის, ასე როდემდე გაგრძელდებოდა.



სონკას ცხოვრებაში ოდესელი ახალგაზრდა, სიმპათიური ქურდის ვალოდია კოჩუბჩიკის (ვოლფ ბრომბერგი) გამოჩენა საბედისწერო აღმოჩნდა. ნამდვილი სიყვარული მანამდე არასოდეს გამოუცდია, ამიტომ ახალგაზრდა საყვარლის შენარჩუნებას ფულითა და ძვირფასი საჩუქრებით ცდილობდა.

კოჩუბჩიკმა ამით მშვენივრად ისარგებლა და სონკასგან ყოველ ჯერზე უფრო და უფრო მეტ ფულს ითხოვდა. ის გამუდმებით ბანქოს თამაშობდა და უზარმაზარ ფულს აგებდა. სონკა ცდილობდა, ალფონსი გონზე მოეყვანა, სათამაშო სახლებში აკითხავდა და სახლში დაბრუნებას თხოვდა.

ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ კოჩუბჩიკს ქალის მეურვეობა მალე მობეზრდა. ის სათამაშო სახლებში მისულ „ოქროსხელებას“ გინებით და ცემა-ტყეპით აგდებდა, თუმცა კრიმინალური სამყაროს ძლევამოსილი დედოფალი საყვარლისგან ყველანაირ დამცირებას ითმენდა.

გაუმაძღარი საყვარლის გამო სონკა იძულებული იყო მეტი ემუშავა და მეტად გაერისკა, მაგრამ ამანაც ვერ უშველა. ბანქოს შულერმა ქალის მთელი ქონება გაანიავა და ასაკით უფროსი, დაღლილი საყვარელი აღარაფერში ჭირდებოდა.

სონკა ფულისა და ძვირფასეულობის გარეშე დარჩა, თანაც ყველგან წესრიგის დამცველები უთვალთვალებდნენ. ის მშვენივრად ხვდებოდა, რომ ოდესაში ყოფნა თვითმკვლელობის ტოლფასი იყო, მაგრამ საყვარლის გარეშე ცხოვრებას სიკვდილი არჩია და დარჩა.

ამ დროს, კოჩუბჩიკი მოხუცი და უფულოდ დარჩენილი სონკას მოცილებაზე ოცნებობდა. მან უყოყმანოდ დაასმინა პოლიციასთან თავისი მფარველი, რათა აზარტისა და ახალგაზრდა გოგონების სამყაროში გადაშვებულიყო.

სონკა გაასამართლეს და ციმბირში გააგზავნეს. „ოქროსხელებამ“ კატორღიდან გაქცევა სცადა. მეორე წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, ის სასტიკად გაროზგეს და ხელებზე და ფეხებზე ბორკილები დაადეს, რომლებიც სამი წელი ატარა. ამბობენ, რომ მანამდე კატორღაზე ქალი ასე მკაცრად არასოდეს დაუსჯიათ. სონკას კატორღიდან გაქცევა ერთადერთი მიზნის გამო სურდა — საყვარლის ნახვა და თვალებში ჩახედვა უნდოდა, თუმცა კოჩუბჩიკს სინდისის ქენჯნა ნამდვილად არ სტანჯავდა.

სონკას თავიდან მოცილების შემდეგ ის ბესარაბიაში გაემგზავრა, სადაც საყვარლის ფული და ძვირფასეულობა სახლებსა და ადგილ-მამულებში მომგებიანად დააბანდა და ცხოვრების ბოლომდე უზრუნველად იცხოვრა.

სონკას სიკვდილზე უამრავი ლეგენდა არსებობს. ზოგი ამბობს, რომ ის კატორღიდან გამოვიდა და 1947 წელს ოდესაში, ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა. მეორე ვერსიით, ოდესაში აღარასოდეს ჩასულა და 1920 წელს მოსკოვში მოკვდა.

სონკას გარდაცვალების შემდეგ როსტოვის, ოდესის, პეტერბურგის და ლონდონის ქურდებმა ფული შეაგროვეს და ვაგანოვსკის სასაფლაოზე მის საფლავზე საძმოს სახელით, იტალიელი ოსტატების დამზადებული თეთრი მარმარილოს ქანდაკება დადგეს.

ძეგლის კვარცხლბეკზე უამრავი წარწერაა „სოლნცევოს საძმო არასოდეს დაგივიწყებს“, „როსტოვს ყველაფერი ახსოვს“, „ერევნელი ბანდიტები გიხსენებენ“, „დაგვეხმარე სონკა, საქმეზე მივდივართ“...

მე-19 საუკუნის უდიდესი ავანტიურისტი ქალის სიცოცხლე და გარდაცვალება დღემდე ბევრ კითხვას აჩენს, თუმცა ერთი რამ ცხადია — „ოქროსხელებამ“ სიყვარულში საბედისწერო შეცდომა დაუშვა, რომელიც განაჩენად ექცა.

ეკა სახვაძე

მ ა დ ლ ო ბ ა

2018 წლის 7 ივლისს მძიმე მდგომარეობაში სასწრაფო დახმარებამ მიმიყვანა აკადემიკოს გულიკო ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრში, სადაც მაღალკვალიფიციური მკურნალობა ჩამიტარეს და სიცოცხლისკენ შემომაბრუნეს.

დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ექიმებს: თემურ პეტრიაშვილს, გიორგი შაკიროვს, გიგი სამადაშვილს, ტატო ჯახიას, ლევან რევაზიშვილს, მამუკა ლატინინს. მკურნალობის პროცესში დაუზარებლად და გულითადად მეხმარებოდნენ ექთნები და სანიტრები, რისთვისაც თითოეულ მათგანს დიდ მადლობას მოვახსენებ.

დიდი მადლობა პროფესორ მიხეილ წვერავას, ქალბატონ ქეთევან მიროტაძეს, განყოფილების ექთნებს კუპრაშვილს და ბერბიჭაშვილს, აგრეთვე სანიტრებს ჩემი გულითადი დახმარებისთვის.

დიდ მადლობას მოვახსენებ კარდიოლოგ გია ნაზღაიძეს, რომელმაც ექიმის ეთიკასთან დაკავშირებული ერთი ფრაზით — ბევრი ვეძებე, მაგრამ ინფარქტი ვერ ვნახე. ამაცილა იატროგენული დაავადება, გააძლიერა ჩემი ოპტიმისტური განწყობილება.

გადაუდებელი კარდიოლოგიური ცენტრის წარმატებული მოღვაწეობა, მისი საყოველთაო აღიარება დეტერმინირებულია მისი დირექციის ოპტიმალური მართვით, რომელსაც სათავეში უდგას აღმასრულებელი დირექტორი, ბატონი რევაზ ჯორბენაძე, ბატონი ავთანდილ ჯორბენაძე და ბატონი ზაზა ლაზარაშვილი.

დიდ წარმატებებს ვუსურვებ მათ თავიანთ მოღვაწეობაში და პირად ცხოვრებაში.

გიორგი ხუნდაძე,
პროფესორი

მ ი მ ა რ თ ვ ა თ ა ნ ა მ ე მ ა მ უ ლ ე ე ბ ი ს ა დ მ ი!

დაფუძნდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპული მებრძოლების ხსოვნის უკვდავყოფის საქველმოქმედო ფონდი „სანთელი“.

ფონდის დამფუძნებელი გახლავართ მე, ანზორ ალექსანდრეს ძე დანელია, ორი დაღუპული მებრძოლის მამა. ხოლო ფონდის გამგეობის წევრია, დაღუპული მებრძოლის ირაკლი დანელიას შვილი გიორგი დანელია!

ფონდის ძირითადი მიზანია სოციალური დახმარების გაწევა დაღუპულთა ოჯახებისთვის, ახალი მემორიალების მოწყობა რეგიონებში, მათი დაბადების ადგილებზე, ანუ მათ სამშობლოში.

დაღუპულების ხსოვნის მუზეუმის დაარსება.

როგორც ფონდის სახელწოდებიდან ჩანს, იგი დასაწყისში იარსებებს შემოწირულობებით, ხოლო შემდეგ საქმიანობას გააგრძელებს მის შემადგენლობაში შექმნილი დამხმარე საწარმოებისაგან მიღებუ-ლი შემოსავლებით.

ტრადიციულად, საქართველოს არასოდეს კლებია ქველმოქმედი, კეთილი, მოწყალე, ანუ, როგ-ორც სულხან საბა განმარტავს, „წყალობის მქმნელი“ ადამიანები.

ქველმოქმედები არც დღეს აკლია საქართველოს.

ამდენად, ვიმედოვნებ, რომ შეძლებისდაგვარად, თანადგომას, შემწეობას და დახმარებას არ დაი-შურებთ ფონდ „სანთელისათვის“. თქვენს წილს შეიტანთ მის გაძლიერება-განმტკიცებისა და მისი კე-თილშობილური მიზნების განხორციელებაში. თქვენი თანადგომა იქნება კიდევ ერთი ანთებული სან-თელი, მიძღვნილი დაღუპულთა უმანკო ხსოვნისადმი.

გფარავდეთ მამაზეციერი და დედა ღვთისმშობელი!

ამინ!

პატივისცემით და კეთილი სურვილებით, ფონდ „სანთელის“ თავმჯდომარე, ორი დაღუპული მებრძოლის მამა **ანზორ დანელია**

19.09.2018 წ. ქ. თბილისი

ჩვენი რეკვიზიტებია:

ანგარიშის მიმღები: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპული მებრძოლების ხსოვნის უკვდავყოფის საქველმოქმედო ფონდი „სანთელი“.

ანგარიშის ნომერი:
GE67LB0115114294158000
ანგარიშის ვალუტა: ლარი
მიმღების ბანკის დასახელება:
სს ლიბერთი ბანკი
მიმღები ბანკის SWIFT კოდი: **LBRTGE22**
ანგარიშის ნომერი:
GE40LB0115114294158001
ანგარიშის ვალუტა: **USD**
მიმღები ბანკის დასახელება:
სს ლიბერთი ბანკი
მიმღები ბანკის SWIFT კოდი: **LBRTGE22**
ანგარიშის ნომერი:
GE13LB0115114294158002
ანგარიშის ვალუტა: **EUR**
მიმღები ბანკის დასახელება:
სს ლიბერთი ბანკი
მიმღები ბანკის SWIFT კოდი **LBRTGE22**
ანგარიშის ნომერი: GE13115114294158003
ანგარიშის ვალუტა: **RUB**
მიმღები ბანკის დასახელება:
სს ლიბერთი ბანკი
მიმღები ბანკის SWIFT კოდი: **LBRTGE22**

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

* * *

— **შეიძლება თუ არა საქორწინო ხელშეკრულების დადება სანოტარო დადასტურების გარეშე?**

— არა, არ შეიძლება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1174 -ე მუხლსი მიხედვით, საქორწინო ხელშეკრულება იდება წერილობით და დასტურდება სანოტარო წესით.

* * *

— **რომელი ქონება ითვლება მეუღლეთა ინდივიდუალურ საკუთრებად?**

— საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1161-ე მუხლის მიხედვით, მეუღლეთა ინდივიდუალურ საკუთრებად ითვლება:

ა) ქონება, რომელიც თითოეულ მათგანს ეკუთვნოდა დაქორწინებამდე;

ბ) ქონება, რომელიც ქორწინების განმავლობაში მიღებულია მემკვიდრეობით ან ჩუქებით.

* * *

— **ხდება თუ არა სასჯელისაგან გათავისუფლება ავადმყოფობის ან ხანდაზმული ასაკის გამო?**

— ხდება. წარმოგიდგენთ შესაბამის კანონის ნორმას სისხლის სამართლის კოდექსიდან.

მუხლი 74. სასჯელისაგან გათავისუფლება ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის ასაკის გამო

1. სასამართლო უფლებამოსილია სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გაათავისუფლოს მსჯავრდებული, თუ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა შეუსაბამოა სასჯელის მოხდასთან და, ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მსჯავრდებულის გამოჯანმრთელება ან/და ჯანმრთელობის მდგომარეობის არსებითი გაუმჯობესება მოსალოდნელი არ არის.

2. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი მუდმივმქმედი კომისია უფლებამოსილია სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გაათავისუფლოს პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებული, თუ მას აქვს დაავადება ან დაავადებათა ერთობლიობა და მკურნალობის ფონზე მისი ძირითადი სასიცოცხლო მაჩვენებლების შენარჩუნება გართულებულია, ამასთანავე, ექიმთა კონსილიუმის მიერ კონსენსუსის საფუძველზე განსაზღვრული ლეტალურობის პროგნოზი მაღალია.

3. ამ მუხლის საფუძველზე სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლებულ მსჯავრდებულს, გამოჯანმრთელების შემთხვევაში, შეიძლება კვლავ დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და დაენიშნოს სასჯელი, თუ არ გასულა ამ კოდექსის 71-ე და 76-ე მუხლებით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადები.

4. სასამართლო უფლებამოსილია სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გაათავისუფლოს სასჯელის მოხდის პერიოდში ხანდაზმულობის ასაკს მიღწეული პირი (ქალი – 65 წლიდან, მამაკაცი – 70 წლიდან), თუ მას სასჯელის სახით დანიშნული არ აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა და მოხდილი აქვს სასჯელის არანაკლებ ნახევარი.

5. ამ მუხლის პირველი და მე-4 ნაწილებით განსაზღვრული საკითხების განხილვისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს სასჯელის სახით დანიშნული თავისუფლების აღკვეთის აღსრულების მიზანშეწონილობა, მსჯავრდებულის პიროვნება, მის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტი, დანაშაულის ხასიათი, მოტივი, მიზანი, დამდგარი შედეგი, დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკი, მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისას გამოვლენილი ქცევა და სხვა გარემოებები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს სასამართლოს გადაწყვეტილებაზე.

6. სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლების ამ მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები არ ვრცელდება ამ კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის «ი» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სასჯელზე.

7. ამ მუხლის საფუძველზე მსჯავრდებულის სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლებისას შესაძლებელია იგი დამატებითი სასჯელის მოხდისაგანაც გათავისუფლდეს.

* * *

— **რამდენია პატიმრობის მაქსიმალური ვადა განაჩენის გამოტანამდე?**

— იგულისხმება აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება: სრულწლოვანი ბრალდებულის შემთხვევაში – 9 თვე, არასრულწლოვანი ბარლდებულის შემთხვევაში კი – 6 თვე.

* * *

— **არ მყავს ქმარ-შვილი. ჩემი ქონება ანდერძით მსურს დავუტოვო ჩემს ერთ-ერთ ძმისშვილს. ხომ არ შეექმნება პრობლემა მას დანარჩენი ძმისშვილებისაგან?**

— თუ თქვენ ანდერძით დაუტოვებთ თქვენს ქონებას ერთ-ერთ ძმისშვილს, მას დანარჩენი ძმისშვილებისაგან არ შეექმნება პრობლემა, რადგან ძმისშვილები არიან მე-2 რიგის მემკვიდრეები და ისინი სავალდებულო წილის უფლებით ვერაფერს მოითხოვენ. სავალდებულო წილის უფლების მოთხოვნით სარგებლობენ მხოლოდ 1-ლი რიგის მემკვიდრეები, კერძოდ, დედა, მამა, ბებია, პაპა, მეუღლე, შვილი.

მინდია უგრეხელიძე – 75

ახლახან ქართველმა საზოგადოებამ სიყვარულით და პატივისცემით აღნიშნა გამოჩენილი ქართველი იურისტის **მინდია უგრეხელიძის** დაბადებიდან 75 წლისთავი.

ცნობილი იურისტის იუბილეს მიეძღვნა ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჟურნალის „სამართალი და მსოფლიო“ სპეციალური ნომერი. გთავაზობთ ფრაგმენტებს ამ გამოცემიდან:

მინდია უგრეხელიძე დაიბადა საქართველოს ულამაზეს ქალაქ ქუთაისში. მისი ბავშვობა სწორედ ქუთაისს უკავშირდება. მამა — გურამ უგრეხელიძე, ცნობილი იურისტი, ორატორი და მთარგმნელი იყო. ამიტომ მას ოჯახიდან გამოყვა სამართლის მსახურის და დიდი კაცობის მადლი.

მინდია უგრეხელიძე გახლავთ თინათინ წერეთლის მიერ დაარსებული, საყოველთაოდ აღიარებული ქართული სამართლებრივი სკოლის გამოჩენილი წარმომადგენელი — უახლოესი მოსწავლე, ერთგული თანაშემწე და თაოსნობათა გამგრძელებელი. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა სწორედ ამ დიდი სამართალმცოდნის მიერ არის შთაგონებული, რაც მის ღვაწლს ერთი-ორად ამშვენებს და ფასს მატებს.

მინდია უგრეხელიძეს საქართველოში უკავშირდება მთელი რიგი თაოსნობანი:

— საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ იგი იყო უზენაესი სასამართლოს პირველი თავმჯდომარე (1990-1999) და მისი რეფორმატორი;



— საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანების შემდეგომ იყო პირველი ქართველი მოსამართლე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოში (1999-2009);

— მის სახელს უკავშირდება საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის პირველი გამოყენება სახელწოდებით „სახალხო სასამართლო“, ანუ „ხალხი ასამართლებს ხელისუფლებას...“ (2010).

— მას უკავშირდება მასშტაბური დანერგვები, როგორც ეროვნულ და ყოფილ საკავშირო სივრცეში, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. მათ შორის უმნიშვნელოვანესი იყო საბჭოთა კავშირის მასშტაბით ჯერ ექსპერიმენტად, ხოლო შემდეგ ოფიციალურად დაარსება ე. წ. „კოლონია დასახლებებისა დანაშაულის გაუფრთხილებლობით ჩამდენთათვის“, რასაც საფუძვლად დაედო იუბილარის მეცნიერული დასკვნები და რეკომენდაციები მისი დისერტაციიდან, რომელიც აკადემიკოს დმიტრი უზნაძის განწყობის თეორიას ეყრდნობოდა.

— საერთაშორისო მართლმსაჯულებამ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოში წარმატებით გამოიყენა მიზეზობრიობის ქართული კონცეპტი (თინათინ წერეთლის ფორმულა) ცნობილ საქმეზე „ნაჩოვა და სხვ. ბულგარეთის წინააღმდეგ“ (2007), რაც მინდია უგრეხელიძის, როგორც დიდი პალატის მომხსენებელი მოსამართლის წინადადებით და ქართული გამოცდილების წყალობით საფუძვლად დაედო მსგავსი საქმეების ანალოგიურ პრაქტიკას.

— მინდია უგრეხელიძის თაოსნობით, ჯერ კიდევ წინარე საუკუნის 70-იან წლებში ჩამოყალიბდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის დღევანდელი 254-ე მუხლის რედაქცია, რომელმაც კულტურის ძეგლების დაცვა სრულიად ახალ პრინციპებზე დააფუძნა;

— მისივე ინიციატივით, სისხლის სამართლის მოქმედ კოდექსს ამშვენებს მუხლი 8 მიზეზობრივი კავშირის შესახებ, რომელიც ერთადერთი შემთხვევაა ევროპაში ურთულესი პრობლემის საკანონმდებლო რეგულაციისა;

— მას ეკუთვნის სისხლის სამართლის ისეთი საკანონმდებლო პრინციპი, როგორიცაა „ტიპობრივი ვალენტობის პრინციპი“;

— იგი გახლავთ შემოქმედი ისეთი ქმედითი კვლევითი ინსტრუმენტისა, როგორიცაა რეტროსპექტიული მეთოდი;

— მინდია უგრეხელიძემ შემოიტანა, ავითარებს და ნერგავს სამართლის მეცნიერების სრულიად ახალ მიმართულებებს, როგორიცაა ნომოლოგია, ლეგიმერტრია და სამართლის დიმენსიოლოგია.

— მის სახელს უკავშირდება „ქართულ (საბჭოთა) ენციკლოპედიაში“ ატომური სამართლის (კანონმდებლობის) ტერმინის მეცნიერული განმარტება, რომელიც უცხოა ყველა სხვა უნივერსალური ენციკლოპედიისათვის;

— სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად მან შემოიღო და დანერგა ინოვაციური და პერსპექტიული პროექტები, პროგრამები და სილაბუსები.

მინდია უგრეხელიძის მეცნიერული ნაშრომები გამოქვეყნებულია 10 უცხოურ ენაზე. ლექციები და გამოსვლები ჰქონდა ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა აშშ, გფრ, საფრანგეთი, ინგლისი, ისრაელი, და ა. შ.

მინდია უგრეხელიძეს აღზრდილი ჰყავს ქართველი იურისტების მრავალი თაობა. მასზე მოწიწებით საუბრობენ სხვადასხვა ქვეყნის იურისტები, რომლებსაც ერთხელ მაინც ჰქონიათ შეხება მინდია უგრეხელიძესთან. ეს არის ადამიანი, რომელზეც შეიძლება გქონდეს სწორება, როგორც იურისტზე და როგორც ადამიანზე. მისი აღზრდილები ყოველთვის იამაყებენ, რომ მათი მასწავლებელი იყო მინდია უგრეხელიძე.

საიუბილეო
საინიციატივო ჯგუფი

შეხვედრა საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში

●

ბატონ მინდია უგრეხელიძეს გულითადად ვულოცავთ დაბადებიდან 75 წლისთავს.

მან წინააღმდეგობებით სავსე გზა ღირსეულად განვლო, საეთაშორისო აღიარება მოიპოვა და ყველგან და ყოველთვის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

დიდად გვახარებს, რომ ასეთი მაღალი რანგის იურისტი დღეს ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორია და მომავალ თაობებს ზრდის.

ღმერთმა დალოცოს ბატონი მინდია და კვლავაც დიდხანს ამსახუროს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ილია მეორე
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

●

„ჩვენს ქვეყანაში XIX-XX საუკუნეებში და განსაკუთრებით სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, წარსულსა და აწმყოს შორის ჯანსაღი ჯავშირის შენარჩუნებას სერიოზული საფრთხე დაემუქრა. მეტად რთული აღმოჩნდა საკუთარ იდენტობასთან

„ზოგი მეცნიერი ნიჭიერია, მაგრამ არცთუ შრომოსმოყვარე, მინდია უგრეხელიძე იღბლიანი შემთხვევაა: ის გახლავთ შრომაზე გამრავლებული ტალანტი, ამასთან, საოცარი წარმატება აქვს, როგორც ლექტორს“.

თინათინ წერეთელი
იურიდიულ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

გაწყვეტილი კავშირის აღდგენა არნახული გამოწვევებით აღსავსე მსოფლიოს წინაშე პირისპირ დარჩენილი ჩვენი საზოგადოებისთვის. ასეთ დროს უაღრესად მნიშვნელოვანია არსებობა პიროვნებისა, რომელიც თავისი მოქალაქეობრივი პათოსით თითქოს არც კი გაგრძნობინებს ამ წყვეტას; და ამას ახდენს თავისი სარწმუნოებით, ფილოსოფიით, პროფესიონალიზმით, კეთილშობილებით, დიდი მამულიშვილური სიდარბაისლით და რაღაც საოცარი თვისებებით, რასაც ქართული ფენომენი ჰქვია...“

მეუფე დანიელი,
ჭიათურისა და
საჩხერის მიტროპოლიტი

●

„ჩემი ბოლო სტუმრობისას თბილისში მოულოდნელად მომეცა წარმოუდგენელი იღბალი და უნიკალური შესაძლებლობა, რამდენჯერმე შევხვედროდი მინდია უგრეხელიძეს, რომელიც გახლავთ ევროპული სასამართლოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ყოფილი მოსამართლე. ის აღმოჩნდა უაღრესად მომხიბლავი, განათლებული ჯენტლმენი, რომელიც თავისუფლად ფლობს ინგლისურს და დამატყვევა უამრავი საინტერესო ფაქტით თავისი განუზომელი გამოცდილებიდან...“

მარკ. ა. სპეისერსი
ფლორიდის საოლქო
მოსამართლე (აშშ)

●

„მინდია, ბრწყინვალე მამის ბრწყინვალე შვილი, ჩემი ძველისძველი მეგობარია — კეთილშობილი, ერთადერთი და განუმეორებელი“.

რეზო გაბრიაძე
მწერალი, დრამატურგი

ედგარ ალან პო

ელდორადო

მხნედ შეუყვა აღმართ-დაღმართს,
არ შეუდრკა ხვატს და ავდარს,
და კაი ყმამ ფიცი დადო,
რომ მოიძევს ელდორადოს.
დრო ულმობლად გადიოდა,
მზე კი ადი-ჩადიოდა,
და თუმც მტკიცე ფიცი დადო,
ევრსად ჰპოვა ელდორადო.
ბევრი განვლო მან ხიფათი,
დაეშრიტა არაქათი,
და აღმოხდა – „ბედის ლანდო,
გთხოვ გამანდო ელდორადო“.
– „გადიარე მთები მთვარის,
აჩრდილთ ველიც იქვე არის.
მედგრად უნდა შეეცადო,
რომ იხილო ელდორადო“ –
იყო პასუხი.

თარგმნა
მინდია უგრეხელიძემ

ვულოცავთ ბატონ **მინდია უგრეხელიძეს** სახელოვან იუბილეს და ვუსურვებთ კვლავაც ასეთი შემართებით გაეგრძელებინოს თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობა საქართველოს საკეთილდღეოდ.

„საერთო გაზეთი“

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ
შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983
9 772233 398001

http://www.saertogazeti.ge